

# სს „პეისერა ბანკი საქართველო“

ფინანსური ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023  
წლის 31 დეკემბერს

**შინაარსი:**

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა ..... 3

**ფინანსური ანგარიშგება**

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება ..... 6

სრული შემოსავლის ანგარიშგება ..... 7

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება ..... 8

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება ..... 9

**ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები**

1. ზოგადი ინფორმაცია ..... 10

2. მომზადების საფუძვლები ..... 10

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა ..... 13

4. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები ..... 21

5. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა ..... 22

6. კაპიტალის მართვა ..... 26

7. ფული და ფულის ეკვივალენტები ..... 27

8. სავალდებულო რეზერვები საქართველოს ეროვნულ ბანკში ..... 27

9. არამატერიალური აქტივები ..... 27

10. იჯარა ..... 27

11. ძირითადი საშუალებები ..... 28

12. ვალდებულებები კლიენტების მიმართ ..... 28

13. სხვა ფინანსური ვალდებულებები ..... 29

14. გადავადებული საგადასახადო ვალდებულება ..... 29

15. კაპიტალი ..... 30

16. საპროცენტო შემოსავალი ..... 31

17. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები ..... 31

18. ოპერაციები და კავშირებულ მხარეებთან ..... 31

19. პირობითი ვალდებულებები ..... 32

20. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები ..... 32

მმართველობის ანგარიშგება ..... 33

## დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს პეისერა ბანკი საქართველოს აქციონერებს და სამეთვალყურეო საბჭოს

### მოსაზრება

ჩავატარეთ სს „პეისერა ბანკი საქართველოს“ (შემდგომში „ბანკი“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებისგან, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისა და სხვა განმარტებითი ინფორმაციისგან.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ბანკის ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად.

### მოსაზრების საფუძველი

აუდიტი წარმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ ბანკისგან ბუღალტრთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

### სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაცია, რომელიც შეტანილია თანდართულ მმართველობის ანგარიშგებაში მიღებული გვექონდა აუდიტორის დასკვნის თარიღისთვის და მასზე პასუხისმგებელია ბანკის ხელმძღვანელობა. ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოხსენებულ სხვა ინფორმაციას.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცენოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციასაც და განვიხილოთ, არის თუ არა ის არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

### ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს ბანკის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ბანკის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან ბანკის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

### **აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე**

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავკვირდეთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ბანკის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ბანკის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავსკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ბანკი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებით შენიშვნებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

სხვა საკითხებთან ერთად, მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

### **დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე**

#### **მოსაზრება**

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- 2023 წლის მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით თანხვედრაშია 2023 წლის ფინანსურ ანგარიშგებასთან; და
- 2023 წლის მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით მოიცავს “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციას.

### **ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა**

#### **მმართველობის ანგარიშგებაზე**

ხელმძღვანელობა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელი არიან ბანკის მმართველობის ანგარიშგება მოამზადონ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელი არიან ბანკის მმართველობის ანგარიშგების მომზადების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

#### **აუდიტორის პასუხისმგებლობა ინდივიდუალურ მმართველობის ანგარიშგებაზე**

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის მიერ წარმოდგენილი ინდივიდუალური მმართველობის ანგარიშგების ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედნილობაზე და მოიცავს თუ არა იგი “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციას.

მოცემული აუდიტის, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორია:

ივანე ჟუჟუნაშვილი (რეესტრში რეგისტრაციის # SARAS-A-720718)

შპს „ბიდიო აუდიტის“ სახელით

თბილისი, საქართველო

8 მაისი 2024 წელი

სს პეისერა ბანკი საქართველო

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ათას ლარში)

	შენიშვნა	31.12.2023	31.12.2022
<b>აქტივები</b>			
ფული და ფულის ეკვივალენტები	7	9,556	6,444
სავალდებულო რეზერვები საქართველოს ეროვნულ ბანკში	8	66	-
სხვა აქტივები		28	10
არამატერიალური აქტივები	9	200	202
აქტივების გამოყენების უფლება	10	196	303
ძირითადი საშუალებები	11	241	260
<b>სულ აქტივები</b>		<b>10,287</b>	<b>7,219</b>
<b>ვალდებულებები</b>			
ვალდებულებები კლიენტების მიმართ	12	1,263	-
საიჯარო ვალდებულებები	10	185	287
სხვა ფინანსური ვალდებულებები	13	766	-
გადავადებული საგადასახადო ვალდებულება	14	5	41
სხვა ვალდებულებები		98	26
<b>სულ ვალდებულებები</b>		<b>2,317</b>	<b>354</b>
<b>კაპიტალი</b>			
ჩვეულებრივი აქციები	15	3,700	3,250
დაგროვილი ზარალი		(1,745)	(386)
დამატებითი შენატანი კაპიტალში	15	6,015	4,001
<b>სულ კაპიტალი</b>		<b>7,970</b>	<b>6,865</b>
<b>სულ ვალდებულებები და კაპიტალი</b>		<b>10,287</b>	<b>7,219</b>

ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის სახელით, 2024 წლის 8 მაისს დამტკიცებულია გამოსაშვებად შემდეგი პირების მიერ:

გენერალური დირექტორი

\_\_\_\_\_

დიმიტრი ქუმსიშვილი

ფინანსური დირექტორი

\_\_\_\_\_

თამარ მეტივიშვილი

სს პეისერა ზანკი საქართველო

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ათას ლარში)

	შენიშვნა	31.12.2023	31.12.2022
<b>აქტივები</b>			
ფული და ფულის ეკვივალენტები	7	9,556	6,444
სავალდებულო რეზერვები საქართველოს ეროვნულ ბანკში	8	66	-
სხვა აქტივები		28	10
არამატერიალური აქტივები	9	200	202
აქტივების გამოყენების უფლება	10	196	303
ძირითადი საშუალებები	11	241	260
<b>სულ აქტივები</b>		<b>10,287</b>	<b>7,219</b>
<b>ვალდებულებები</b>			
ვალდებულებები კლიენტების მიმართ	12	1,263	-
საიჯარო ვალდებულებები	10	185	287
სხვა ფინანსური ვალდებულებები	13	766	-
გადავადებული საგადასახადო ვალდებულება	14	5	41
სხვა ვალდებულებები		98	26
<b>სულ ვალდებულებები</b>		<b>2,317</b>	<b>354</b>
<b>კაპიტალი</b>			
ჩვეულებრივი აქციები	15	3,700	3,250
დაგროვილი ზარალი		(1,745)	(386)
დამატებითი შენატანი კაპიტალში	15	6,015	4,001
<b>სულ კაპიტალი</b>		<b>7,970</b>	<b>6,865</b>
<b>სულ ვალდებულებები და კაპიტალი</b>		<b>10,287</b>	<b>7,219</b>

ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის სახელით, 2024 წლის 8 მაისს დამტკიცებულია გამოსაშვებად შემდეგი პირების მიერ:

გენერალური დირექტორი

დიმიტრი ქუმსიშვილი

ფინანსური დირექტორი

თამარ მეტივიშვილი

10 -32 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სს პეისერა ბანკი საქართველო

სრული შემოსავლის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს

(ათას ლარში)

	შენიშვნა	2023	2022*
საპროცენტო შემოსავალი	16	237	98
საპროცენტო ხარჯი		(9)	(4)
<b>წმინდა საპროცენტო შემოსავალი</b>		<b>228</b>	<b>94</b>
საკომისიო შემოსავალი, წმინდა		10	-
შედეგი სავალუტო ოპერაციებიდან		74	(13)
საკურსო სხვაობიდან მიღებული ზარალი, წმინდა		(56)	(329)
სხვა შემოსავალი		-	56
<b>არასაპროცენტო შემოსავალი</b>		<b>28</b>	<b>(286)</b>
თანამშრომელთა სარგებელი		(1,052)	(123)
ცვეთა და ამორტიზაცია		(183)	(25)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	17	(452)	(254)
<b>საოპერაციო ზარალი</b>		<b>(1,431)</b>	<b>(594)</b>
მოგების გადასახადის შემოსავალი/(ხარჯი)	14	36	(41)
<b>მთლიანი სრული ზარალი</b>		<b>(1,395)</b>	<b>(635)</b>

(\* ) - საანგარიშგებო წელი, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს, მოიცავს დაარსების შემდგომ - 2022 წლის 1 მარტიდან 31 დეკემბრამდე ოპერაციებს.



სს პეისერა ბანკი საქართველო

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს

(ათას ლარში)

	შენიშვნა	2023	2022
<b>ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან</b>			
თანამშრომლებზე გაწეული დანახარჯები		(1,052)	(67)
გადახდილი ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები		(471)	(235)
მიღებული პროცენტი		237	98
<b>საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი ნაკადები საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში ცვლილებებამდე</b>		<b>(1,286)</b>	<b>(204)</b>
<b>წმინდა ცვლილება საოპერაციო აქტივებში</b>			
სავალდებულო ფულის ნაშთების ზრდა საქართველოს ეროვნულ ბანკში		66	-
გაცემული სესხები		-	(5,420)
გაცემული სესხების მიღება		-	5,198
<b>წმინდა ცვლილება საოპერაციო ვალდებულებებში</b>			
მომხმარებელთა ანგარიშების ზრდა		1,263	-
სხვა ფინანსური ვალდებულებების ზრდა		766	-
<b>(საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული)/საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები</b>		<b>809</b>	<b>(426)</b>
<b>საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი ნაკადები</b>			
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შეძენა		(55)	(465)
<b>საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები</b>		<b>(55)</b>	<b>(465)</b>
<b>ფინანსური საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები</b>			
საიჯარო ვალდებულების გადახდა		(107)	(37)
სუბორდინირებული სესხების მიღება	15	2,050	4,250
სააქციო კაპიტალის გამოშვება	15	450	3,250
<b>ფინანსური საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები</b>		<b>2,393</b>	<b>7,463</b>
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		(35)	(128)
<b>ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა</b>		<b>3,112</b>	<b>6,444</b>
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში	7	6,444	-
<b>ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს</b>	<b>7</b>	<b>9,556</b>	<b>6,444</b>

10 -32 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სს პეისერა ბანკი საქართველო

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს

(ათას ლარში)

	შენიშვნა	სააქციო კაპიტალი	სუბორდინირებული სესხები	დაგროვილი ზარალი	სულ
<b>31.12.2021</b>		-	-	-	-
დამფუძნებელთა შენატანი კაპიტალში	15	3,250	-	-	3,250
წლის მთლიანი სრული ზარალი		-	-	(635)	(635)
სუბორდინირებული სესხების მიღება	15	-	4,250	-	4,250
უვადო სუბორდინირებული სესხის გადაფასება		-	(249)	249	-
<b>31.12.2022</b>		<b>3,250</b>	<b>4,001</b>	<b>(386)</b>	<b>6,865</b>
დამფუძნებელთა შენატანი კაპიტალში	15	450	-	-	450
წლის მთლიანი სრული ზარალი		-	-	(1,395)	(1,395)
სუბორდინირებული სესხების მიღება	15	-	2,050	-	2,050
უვადო სუბორდინირებული სესხის გადაფასება		-	(36)	36	-
<b>31.12.2023</b>		<b>3,700</b>	<b>6,015</b>	<b>(1,745)</b>	<b>7,970</b>

10 -32 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

## სს პეისერა ბანკი საქართველო

### ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს

(ათას ლარში)

#### 1. ზოგადი ინფორმაცია

სს პეისერა ბანკი საქართველო (შემდგომში "ბანკი") დაფუძნდა 2022 წლის 1 მარტს. თავდაპირველად ის რეესტრში დარეგისტრირდა როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება - შპს პეისერა საქართველო (შემდგომში „კომპანია“). 2022 წლის 19 აგვისტოს კომპანიამ განიცადა რეორგანიზაცია, კერძოდ შეიცვალა სამართლებრივი ფორმა და ჩამოყალიბდა სააქციო საზოგადოებად. დღესდღეობით სააქციო საზოგადოება "პეისერა ბანკი საქართველო" მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და რეგისტრირებულია საიდენტიფიკაციო ნომრით: 402204841;

ბანკი ფუნქციონირებს საქართველოს ეროვნული ბანკის („სებ“) მიერ გაცემული საბანკო საქმიანობის ლიცენზიით. 2022 წელს საქართველოს ეროვნულმა ბანკმა სს "პეისერა საქართველოზე", ციფრული ბანკის ლიცენზირების პრინციპების გათვალისწინებით საბანკო საქმიანობის ლიცენზია გასცა, თუმცა რეალურ გარემოში საბანკო საქმიანობის განხორციელების უფლებამოსილება 4 თვით შეუზღუდა, რომელიც როგორც ეს მე-16 შენიშვნაშია განმარტებული შემდგომ კიდევ ორი თვით გახანგრძლივდა. საბანკო საქმიანობების რეალურ რეჟიმში განხორციელების უფლებამოსილების მინიჭება, სალიცენზიო მოთხოვნების შესრულების შედეგად, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გაცემული თანხმობის საფუძველზე, ეტაპობრივად მოხდება. "სს "პეისერა საქართველო" 2022 წლის განმავლობაში სატესტო რეჟიმში მუშაობდა, ხოლო 2023 წლის 15 ივნისიდან მიიღო საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტის N283 განკარგულებით განსაზღვრული უფლებები, მათ შორის მომხმარებლების მიმდინარე ანგარიშგებისა და დეპოზიტების მოზიდვის უფლება.

ბანკის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი N4/2;

2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკის აქციონერები არიან:

	31.12.2023	31.12.2022
ირაკლი ვეკუა	27.03%	30.77%
დიმიტრი ქუმსიშვილი	27.03%	30.77%
ივანე თევდორაშვილი	27.03%	16.92%
მინდია საბანაძე	10.13%	11.54%
ზაზა ბუაძე	8.78%	10.00%
	<b>100%</b>	<b>100%</b>

ბანკის თანამშრომელთა (სახელმწიფრულებო) საშუალო წლიური რაოდენობა კატეგორიების მიხედვით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2023	2022
უმაღლესი ხელმძღვანელობა	3	3
საშუალო ხელმძღვანელობა	1	1
სხვა თანამშრომლები	17	10

ბანკს 2022 წელს ჰყავდა ერთი დროებით დასაქმებული რიგითი თანამშრომელი (2023: 0).

#### 2. მომზადების საფუძველები

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსკ) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების (მთლიანობაში ფასს-ები) შესაბამისად.

##### წარდგენის საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ბანკის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე. ბანკის სრული შემოსავლის ანგარიშგება 2022 წლისთვის მოიცავს დაარსების შემდგომ - 2022 წლის 1 მარტიდან 31 დეკემბრამდე ოპერაციებს.

ბანკი სააღრიცხვო ჩანაწერებს აწარმოებს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ქართულ ლარში (თანხები მოცემულია ათასებში). წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბანკის სააღრიცხვო ჩანაწერებზე დაყრდნობით.

## 2. მომზადების საფუძვლები (გაგრძელება)

ფინანსური ანგარიშგების ფასს-ის მიხედვით მომზადება ბანკის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების საანგარიშო ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში.

ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება. კორექტირებები, რამაც სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები გამოიწვია, მიეკუთვნება იმ პერიოდის ფინანსურ შედეგებს, როცა ეს ცვლილებები გატარდა. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებების შესახებ განმარტებები მოცემულია მე-4 შენიშვნაში.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია მე-3 შენიშვნაში.

### ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე - ანუ დაშვებით, რომ ბანკი განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაბამისია ბანკისათვის.

ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გამოყენებისას, ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა ბანკის საქმიანობა, მიზნები და სტრატეგია, ძირითადი რისკები და განუსაზღვრელობა მისი მიზნების მისაღწევად და შესასრულებლად.

ხელმძღვანელობას აქვს გონივრული მოლოდინი, რომ ბანკს, მთლიანობაში, აქვს საკმარისი რესურსი, ფუნქციონირების გასაგრძელებლად, ფინანსური ანგარიშგების გამოშვებიდან 12 თვის განმავლობაში. ხელმძღვანელობისთვის არ არის ცნობილი რაიმე არსებითი განუსაზღვრელობა, რამაც შეიძლება მნიშვნელოვანი საფრთხე შეუქმნას ბანკის შესაძლებლობას, გააგრძელოს ფუნქციონირება პროგნოზირებად მომავალში.

### ცვლილება სააღრიცხვო პოლიტიკაში

#### ა) 2023 წლის 1 იანვრის შემდეგ ძალაში შესული სტანდარტები და შესწორებები:

**ფასს 17 სადაზღვევო კონტრაქტები.** ფასს 17 ნერგავს საერთაშორისო თანმიმდევრულ მიდგომას სადაზღვევო ხელშეკრულების აღრიცხვის მიმართ. ფასს 17-მდე, მთელ მსოფლიოში არსებობდა მნიშვნელოვანი სხვადასხვაობა სადაზღვევო ხელშეკრულებების აღრიცხვასა და წარდგენასთან დაკავშირებით, ფასს 4 ნებას რთავდა მრავალ (არა-ფასს) სააღრიცხვო მიდგომას. ფასს 17-ის ძალაში შესვლა გამოიწვევს მნიშვნელოვან ცვლილებებს ბევრი მზღვეველისთვის, რაც გულისხმობს არსებული სისტემებსა და პროცესებში ცვლილების შეტანას.

ახალი სტანდარტის ხედვით, სადაზღვევო ხელშეკრულება მოიცავს ფინანსური ინსტრუმენტის და მომსახურების ხელშეკრულების ელემენტებს, ამასთან გამომუშავებული ფულადი ნაკადების დიდი ნაწილი არსებითად ცვალებადია დროთა განმავლობაში. შედეგად, სტანდარტი აყალიბებს შემდეგ მიდგომებს:

- მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების აღიარება მოგებასა და ზარალში იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც ხდება მომსახურების გაწევა ხელშეკრულების თანახმად;
- სადაზღვევო მომსახურების შედეგების (მათ შორის სადაზღვევო შემოსავლის) წარდგენა სადაზღვევო ფინანსური შემოსავლის ან ხარჯებისგან განცალკევებით;
- სააღრიცხვო პოლიტიკის არჩევანი ცალკეული პორტფელის მიმართ სადაზღვევო ფინანსური შემოსავლის ან ხარჯის მთლიანად მოგებასა და ზარალში წარდგენასთან ან ნაწილობრივ სრულ შემოსავალში წარდგენასთან დაკავშირებით.

ფასს 17-ის გამოცემის შემდეგ, სტანდარტში შევიდა შესწორებები და გადავადდა ძალაში შესვლის თარიღი.

**სააღრიცხვო პოლიტიკების წარდგენა (შესწორება- ბასს 1 და ფასს პრაქტიკული ანგარიშგება 2)** – 2021 წლის თებერვალში, IASB-იმ გამოსცა ბასს 1-ის შესწორება, რომელიც ცვლის სააღრიცხვო პოლიტიკის წარდგენის მოთხოვნებს „მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის“ „არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის ინფორმაციით“. მოცემული შესწორება იძლევა მითითებას იმის შესახებ, როდის არის მოსალოდნელი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაცია იქნას არსებითად მიჩნეული. აღნიშნული შესწორება ძალაშია იმ ფინანსური ანგარიშგებისთვის, რომელთა საანგარიშგებო პერიოდი იწყება 2023 წლის 1 იანვრიდან. ადრეული გადასვლა ნებადართულია. რადგან ფასს პრაქტიკული ანგარიშგება 2 არ წარმოადგენს სავალდებულო სახელმძღვანელოს, არ მომხდარა სავალდებულო ძალაში შესვლის თარიღის განსაზღვრა ფასს პრაქტიკული ანგარიშგება 2-ის შესწორებასთან მიმართებაში.

**2. მომზადების საფუძვლები (გაგრძელება)**

**სააღრიცხვო შეფასებების განმარტება (ბასს 8-ის შესწორება)** - 2021 წლის თებერვალში, IASB-იმ გამოსცა ბასს 8-ის შესწორება, რომელმაც დაამატა სააღრიცხვო შეფასებების განმარტება ბასს 8-ში. შესწორებაში ასევე დაზუსტდა, რომ სააღრიცხვო შეფასებაზე ამოსავალი მონაცემების ან შეფასების მეთოდის ცვლილების გავლენით გამოწვეული შედეგი წარმოადგენს სააღრიცხვო შეფასების ცვლილებას, თუკი მონაცემების ან შეფასების მეთოდის ცვლილება გამოწვეული არ არის წინა პერიოდის შეცდომების გასწორებით.

**გადავადებული გადასახადი, რომელიც უკავშირდება ერთი ოპერაციიდან წარმოქმნილ აქტივებს და ვალდებულებებს (ბასს 12-ის შესწორება).** 2021 წლის მაისში, IASB-იმ გამოსცა ბასს 12-ის შესწორება, რომელიც აკონკრეტებს, ვრცელდება თუ არა თავდაპირველი აღიარების გამონაკლისი გარკვეულ ოპერაციებზე, რომლებიც იწვევს როგორც აქტივის, ასევე ვალდებულების სიმულაციურად აღიარებას (მაგ: იჯარა ფასს 16-ის შესახამისად). შესწორების შედეგად, ბასს 12.15-ს დამატა კრიტერიუმი თავდაპირველი აღიარების გამონაკლისთან დაკავშირებით, რომლის მიხედვითაც გამონაკლისი არ ვრცელდება აქტივების ან ვალდებულების თავდაპირველ აღიარებაზე, რომლებიც წარმოშობს თანაბარი ოდენობის დასაბეგრ და გამოსაქვით დროებით სხვაობებს. ბანკის ხელმძღვანელობის შეფასებით, აღნიშნულ ცვლილებებს არ აქვს არსებითი გავლენა ბანკის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

**ბ) ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული:**

**სტანდარტები და შესწორებები, რომლებიც ძალაში შედის 2024 წლის 1 იანვრიდან**

**მიწოდების ფინანსური შეთანხმებები ( შესწორება ბასს 7-ში და ფასს 7-ში).** 2023 წლის მაისში, IASB-იმ გამოუშვა მიწოდების ფინანსური შეთანხმებები, რომელიც წარმოადგენს ბას 7-ის ფულადი ნაკადების ანგარიშგებების და ფასს 7-ის ფინანსური ინსტრუმენტები: განმარტებითი შენიშვნების შესწორებას. აღნიშნული შესწორებები წარმოიშვა IFRS-ის ინტერპრეტაციის კომიტეტისგან მიღებული წარდგენის შედეგად, რომელიც შეეხებოდა ვალდებულებებს და მასთან დაკავშირებულ, მიწოდების ჯაჭვის დაფინანსების შეთანხმებებიდან წარმოშობილ ფულად ნაკადებს და მათ განმარტებითი შენიშვნებს. 2020 წლის დეკემბერში, კომიტეტმა გამოაქვეყნა აგენდა გადაწყვეტილება მიწოდების ჯაჭვის დაფინანსების შეთანხმებებთან დაკავშირებით - რევერსული ფაქტორინგი, რომელიც შეეხებოდა აღნიშნულ წარდგენას დაფუძნებულს ფინანსური აღრიცხვის სტანდარტების მოთხოვნებზე, მოცემული პერიოდისთვის. აღნიშნული პროცესის განმავლობაში, დაინტერესებული მხარეების უკუკავშირმა აჩვენა ამ დროისთვის არსებული მოთხოვნების შეზღუდვები, რომელიც უკავშირდება მომხმარებელთა მნიშვნელოვანი ინფორმაციის საჭიროებების დაკმაყოფილებას, რათა გასაგები იყოს მიწოდების ფინანსური შეთანხმებები საწარმოს ფინანსურ ანგარიშგებებში და შესაძლებელი გახდეს საწარმოების ერთმანეთთან შედარება. ამ უკუკავშირის საპასუხოდ, IASB-იმ შეიმუშავა ვიწრო მასშტაბის სტანდარტის კორექტირება, რამაც გამოიწვია შესწორება. შესწორებები მოითხოვს, საწარმოებმა მოამზადონ გარკვეული სპეციფიური განმარტებები (ხარისხობრივი და რაოდენობრივი), რომელიც შეეხება მიწოდების ფინანსურ შეთანხმებებს. შესწორებები ასევე იძლევა მითითებებს მიწოდების ფინანსური შეთანხმებების მახასიათებლებზე.

**საიჯარო ვალდებულება უკუიჯარის პირობით გაყიდვისას (ფასს 16-ის შესწორება).** 2020 წლის ივნისში ფასს ინტერპრეტაციების საბჭომ გამოსცა დღის წესრიგის გადაწყვეტილება ცვლადი საიჯარო გადახდებიანი უკუიჯარის პირობით გაყიდვასთან დაკავშირებით. აღნიშნული საკითხი გადაეცა IASB-ს ზოგიერთი ასპექტის სტანდარტში გათვალისწინების მიზნით. 2022 წლის სექტემბერში IASB-იმ გამოსცა საბოლოო შესწორება.

შესწორების თანახმად გამყიდველ-მოიჯარეს მოეთხოვება იმგვარად განსაზღვროს „საიჯარო გადახდები“ ან „გადასინჯული საიჯარო გადახდები“, რომ არ აღიაროს გამყიდველი-მოიჯარის მიერ შენარჩუნებულ გამოყენების უფლებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ოდენობის მოგება ან ზარალი.

**ვალდებულების კლასიფიკაცია მოკლევადიანად ან გრძელვადიანად (ბასს 1-ში შესწორება)** 2020 წლის იანვარში IASB-იმ გამოსცა ბასს 1-ის შესწორება ვალდებულების მოკლევადიანად ან გრძელვადიანად კლასიფიკაციასთან დაკავშირებით. ხოლო 2022 წლის ოქტომბერში შემდგომი შესწორება განხორციელდა კოვენანტებიან გრძელვადიან ვალდებულებებთან მიმართებაში. შესწორების თანახმად, საწარმოს მოეთხოვება გააჩნდეს ვალდებულების დაფარვის გადავადების არსებითი უფლება საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ სულ მცირე თორმეტი თვით და აღნიშნული უფლება უნდა არსებობდეს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულების კლასიფიკაციაზე გავლენას არ ახდენს ალბათობა იმისა, რომ საწარმო გამოიყენებს უფლებას საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვით გადავადებასთან დაკავშირებით. COVID-19 პანდემიის შედეგად შესწორების ძალაში შესვლის თარიღი გადაიწია ერთი წლით და ეფექტურია იმ ფინანსური ანგარიშგებისთვის, რომელთა საანგარიშგებო პერიოდი იწყება 2024 წლის 1 იანვრიდან.

## 2. მომზადების საფუძვლები (გაგრძელება)

**კოვენანტებიანი გრძელვადიანი ვალდებულებები (ბასს 1-ში შესწორება)** ბასს 1-ში ვალდებულების კლასიფიკაცია მოკლევადიანად ან გრძელვადიანად შესწორების გამოცემის შემდგომ, 2022 წლის ოქტომბერში IASB-იმ კვლავ შეასწორა ბასს 1. თუ საწარმოს გადავადების უფლება წარმოადგენს კონკრეტული პირობების დაკმაყოფილების საგანს, ასეთი პირობები გავლენას ახდენს მაშინ, როცა უფლება არსებობს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, საწარმომ შეასრულოს პირობები საანგარიშგებო პერიოდის დასრულებამდე ან დასრულებისას და არა მაშინ, როცა საწარმო ვალდებულია დააკმაყოფილოს პირობები საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ. აღნიშნული შესწორება, ასევე, განმარტავს „დაფარვის“ მნიშვნელობას, ვალდებულების მოკლევადიანად ან გრძელვადიანად კლასიფიკაციის მიზნით.

ბანკის ხელმძღვანელობის შეფასებით აღნიშნულ ცვლილებებს არ ექნება არსებითი გავლენა ბანკის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

### გ) სტანდარტები და შესწორებები, რომლებიც ძალაში შედის 2025 წლის 1 იანვრიდან

**გასაცვლელი სავალუტო კურსის არ არსებობა (შესწორება ბასს 21-ში)** 2023 წლის 15 აგვისტოს, IASB-იმ გამოსცა გასაცვლელი კურსის არ არსებობა, რომელიც წარმოადგენს ბასს 21-ის, უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული შედეგების, შესწორებას (შესწორებები). შესწორება წარმოიშვა IFRS-ის ინტერპრეტაციის კომიტეტისგან მიღებული წარდგენის შედეგად, რომელიც შეეხება ვალუტის კურსის განსაზღვრას, როდესაც გასაცვლელი კურსის არ არსებობს გრძელ ვადიან პერიოდში. შესწორებამდე, ბასს 21-ი არ მოიცავდა აშკარა მოთხოვნებს გასაცვლელი კურსის განსაზღვრასთან დაკავშირებით, როდესაც ვალუტა არ იცვლება სხვა ვალუტაში, რაც წარმოშობდა პრაქტიკაში აღრიცხვის მრავალფეროვნებას. კომიტეტმა გასცა რეკომენდაცია, რომ IASB-ს შეემუშაებინა ბასს 21-ში ვიწრო მასშტაბის შესწორება აღნიშნული საკითხის გადასაწყვეტად. შემდგომი განხილვების შედეგად, 2021 წლის აპრილში IASB-იმ გამოსცა განმარტებითი დრაფტი ბასს 21-თან დაკავშირებულ შესწორებებზე და საბოლოო შესწორება გამოიცა 2023 წლის აგვისტოში. შესწორება წარმოადგენს მოთხოვნას, შეფასდეს როდის იცვლება ვალუტა სხვა ვალუტაში და როდის არა. შესწორება საწარმოს სთხოვს განსაზღვროს სპოტ სავალუტო კური, როდესაც საწარმო დაასკვნის რომ ვალუტა სხვა ვალუტაში არ იცვლება.

#### სხვა

ბანკის ხელმძღვანელობას არ გააჩნია მოლოდინი, რომ ბასს-ის მიერ გამოშვებული სხვა რომელიმე სტანდარტს, რომელიც ჯერ არ არის ძალაში შესული, ექნება არსებითი გავლენა ბანკის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

## 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა

### ა) შეფასების და წარდგენის ვალუტა

ფინანსური ანგარიშგებაში ასახული მუხლები წარმოდგენილია იმ ქვეყნის ვალუტაში, სადაც ბანკი ფუნქციონირებს (საოპერაციო ვალუტა). ამგვარად, მოცემული წარმოდგენილია ლარში, რომელიც ბანკის ფუნქციონალური და წარსადაგენი ვალუტაა.

### ბ) უცხოური ვალუტის კონვერტაცია

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. უცხოურ ვალუტაში არსებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით. მონეტარული მუხლების კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის მუხლში „საკურსო სხვაობიდან მიღებული მოგება, წმინდა“.

**სს პეისერა ბანკი საქართველო**

**ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები**

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს

(ათას ლარში)

**3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)**

უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსი	
	აშშ დოლარი	ევრო
კურსი 2023 წლის 31 დეკემბრისთვის	2.6894	2.9753
კურსი 2022 წლის 31 დეკემბრისთვის	2.7020	2.8844

**ფინანსური ინსტრუმენტები**

**თავდაპირველი აღიარება**

ფინანსური აქტივები საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური აქტივის შეძენასთან ან გამოშვებასთან.

**ფინანსური აქტივები - კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება**

ბანკი ფინანსურ აქტივებს აკლასიფიცირებს ბიზნესმოდელის შესაბამისად, ერთ-ერთი კატეგორიით შემდეგი სამი კატეგორიიდან:

- ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი;
- რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი, ცვლილებების მოგებაში ან ზარალში ასახვით;
- რეალური ღირებულებით შეფასებული, ცვლილებების სხვა სრულ შემოსავალში ასახვით.

ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაცია დამოკიდებულია მათ სახელშეკრულებო პირობებზე და ამ ინსტრუმენტების მართვის ბიზნესმოდელზე. ბანკმა ყველა აქტივი დააკლასიფიცირა შემდეგ კატეგორიად „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“.

ბანკი მხოლოდ მაშინ აფასებს ამორტიზებული ღირებულებით ფინანსურ აქტივებს, თუ ორივე პირობა დაკმაყოფილებულია:

- ფინანსური აქტივი იმართება ისეთი ბიზნესმოდელით, რომლის მიზანაც არის ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად;
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტული თარიღებით წარმოქმნის ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და ძირითადი თანხის დარჩენილ ნაშთზე დარიცხვული პროცენტის გადახდებს (SPPI);

**გაუფასურება**

ბანკი ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღით აფასებს ფინანსური და სახელშეკრულებო აქტივების მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს და აღიარებს წმინდა გაუფასურების ზარალს.

**ფინანსური აქტივები – ჩამოწერა**

ფინანსური აქტივები მთლიანად ან ნაწილობრივ ჩამოიწერება, როდესაც ბანკი ამოწურავს თანხის ამოღების ყველა პრაქტიკულ შესაძლებლობას და დაასკვნის, რომ აღარ არსებობს თანხის ამოღების გონივრული მოლოდინი. ჩამოწერა წარმოადგენს აღიარების შეწყვეტას.

**ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა**

ბანკი ფინანსური აქტივების აღიარებას წყვეტს, როდესაც (ა) მოხდა აქტივების გამოსყიდვა ან მათთან დაკავშირებულ ფულადი ნაკადებზე უფლების ვადის გასვლა ან (ბ) ბანკმა სხვას გადასცა ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ან დადო გარიგება, რომლითაც (i) აგრეთვე გადასცა აქტივების საკუთრებასთან დაკავშირებული ყველა რისკი და უკუგება ან (ii) საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და უკუგება არც გადაცემულია და არც შენარჩუნებულია, მაგრამ კონტროლი არ არის შენარჩუნებული.

### 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

#### ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა

ბანკი ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს ანექტებს მაშინ, როდესაც ურთიერთჩათვლა იურიდიულად არ არის შეზღუდული და ბანკი გეგმავს ანგარიშწორებას ნეტო საფუძველზე ან ფინანსური აქტივის მიღებას და ვალდებულების დაფარვას გეგმავს ერთგვაროვნად.

#### ფინანსური ვალდებულებები

ბანკს ყველა ფინანსური ვალდებულება დაკლასიფიცირებული აქვს „სხვა ფინანსური ვალდებულებების“ კატეგორიაში. ფინანსური ვალდებულებები საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური ვალდებულებების გამოშვებასთან. მსგავსი პროცენტის მატარებელი ვალდებულებები შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს მუდმივი განაკვეთით ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე საპროცენტო ხარჯის დარიცხვას.

ნებისმიერი ფინანსური ვალდებულებისთვის საპროცენტო ხარჯი მოიცავს საწყის გარიგების ხარჯებს და ნებისმიერ დამატებით გადასახდელს ვალდებულების გამოსყიდვისთვის.

#### ფინანსური ვალდებულებები - აღიარების შეწყვეტა

ბანკი წყვეტს ფინანსური ვალდებულების აღიარებას, როდესაც მისი სახელშეკრულებო ვალდებულებები დაკმაყოფილებულია, უქმდება ან ვადა გასდის. ბანკი ასევე წყვეტს ფინანსური ვალდებულების აღიარებას როდესაც მოდიფიცირებულია მისი პირობები და არსებითად განსხვავდება მოდიფიცირებული ფინანსური ვალდებულებისგან მიღებული ფულადი ნაკადები. ამ შემთხვევაში, ახალი მოდიფიცირებულ პირობებზე დაფუძნებული ფინანსური ვალდებულება აღიარდება სამართლიანი ღირებულებით. სხვაობა აღიარება შეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და ახალ მოდიფიცირებულ პირობებთან ფინანსურ ვალდებულებას შორის აღიარდება მოგებაში ან ზარალში. გადახდილი ოდენობა მოიცავს გადაცემულ არა-ფინანსურ აქტივებს, ასეთის არსებობის შემთხვევაში, და ნაკისრ ვალდებულებებს, ახალი მოდიფიცირებული ფინანსური ვალდებულების ჩათვლით.

თუ ფინანსური ვალდებულების მოდიფიცირება არ არის აღრიცხული როგორც აღიარების შეწყვეტა, მაშინ ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება განაგრძობს მოდიფიცირებული ფულადი ნაკადების თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებით და შედეგად მიღებული ამონაგები ან ზარალი აღიარებულია მოგებაში ან ზარალში. ნებისმიერი გაწეული საკომისიო ხარჯი აღიარდება როგორც ვალდებულების საბალანსო ღირებულების კორექტირება და ამორტიზებულია მოდიფიცირებული ფინანსური ვალდებულების დარჩენილ ვადაზე ინსტრუმენტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ხელახლა გამოთვლით.

#### ფული და ფულის ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, საქართველოს ეროვნული ბანკის მიმართ არსებულ მოთხოვნებს, სავალდებულო სარეზერვო დეპოზიტების გამოკლებით, და საფინანსო დაწესებულებების მიმართ არსებულ მოთხოვნებს, რომელთა დაფარვის ვადა შესყიდვიდან 90 დღე ან ნაკლებია და რომლებიც ექვემდებარება მათი სამართლიანი ღირებულების ცვლილებების არა-არსებით რისკს და გამოიყენება ბანკის მიერ მისი მოკლევადიანი ვალდებულებების სამართავად. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წარმოდგენილია ამორტიზებული ღირებულებით ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

#### სავალდებულო რეზერვები საქართველოს ეროვნულ ბანკში

სავალდებულო რეზერვები საქართველოს ეროვნულ ბანკში აღრიცხება ამორტიზირებული ღირებულებით და წარმოადგენს სავალდებულო სარეზერვო დეპოზიტებს, რომლებიც არ გამოიყენება ბანკის ყოველდღიური ოპერაციების დასაფინანსებლად და ამიტომ ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისთვის, არ ითვლება ფულისა და ფულის ეკვივალენტების ნაწილად.

#### გადასახადით დაბეგრვა

მიმდინარე მოგების გადასახადი გამოიანგარიშება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და წარმოადგენს მიმდინარე და გადავადებული საგადასახადო ხარჯების ჯამს. გადავადებული აქტივებისა და ვალდებულებების დაანგარიშება მიმდინარე სხვაობებთან მიმართებაში ხდება ვალდებულებების აღრიცხვის მეთოდით.

გადავადებული მოგების გადასახადები გათვალისწინებულია ყველა დროებით სხვაობაზე, რომელიც წარმოიშობა აქტივებისა და ვალდებულებების საგადასახადო დასაბეგრ საფუძველსა და მათ საბალანსო თანხებს შორის ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გადავადებული მოგების გადასახადი



**3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)**

წარმოიშობა გუდვილის პირველადი აღიარებიდან ან აქტივისა და ვალდებულებიდან იმ გარიგებაში, რომელიც არ არის საწარმოთა გაერთიანება და ოპერაციის თარიღისათვის გავლენას არ იქონიებს სააღრიცხვო მოგებასა თუ საგადასახადო მოგება-ზარალზე.

გადავადებული საგადასახადო აქტივი აღიარდება მხოლოდ მაშინ, როდესაც მოსალოდნელია დასაბეგრი მოგების მიღება, საიდანაც შესაძლებელი იქნება გამოსაქვითი დროებითი სხვაობების გაქვითვა. გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები აღიარდება საგადასახადო განაკვეთებით, რომელთა გამოყენებაც მოსალოდნელია აქტივის რეალიზაციისა და ვალდებულების დაფარვის პერიოდში იმ განაკვეთებზე დაყრდნობით, რომლებიც მოქმედებდა ან არსებობდა ამოქმედებული იყო ანგარიშგების დღეს.

საქართველოში აგრეთვე მოქმედებს სხვადასხვა საოპერაციო გადასახადი, რომლებიც გავლენას ახდენს ბანკის საქმიანობაზე. ეს გადასახადები აღრიცხულია საერთო და ადმინისტრაციულ ხარჯებში.

**ძირითადი საშუალებები**

**აღიარება და შეფასება**

ძირითადი საშუალებების ერთეულები ფასდება თვითღირებულებით, დაგროვილი ცვეთის და ნებისმიერი დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით. თვითღირებულება მოიცავს დანახარჯებს, რომლებიც პირდაპირ არის მიკუთვნებადი აქტივის შესყიდვაზე ან მისი გამიზნული მოხმარებისთვის შესაბამის სამუშაო მდგომარეობაში მოყვანაზე. ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულება გაუფასურების ტესტზე შეფასებულია, როდესაც მოვლენები ან გარემოებების ცვლილებები მიანიშნებენ, რომ საბალანსო ღირებულება შეიძლება არ იყოს აღდგენადი.

ცვეთის გამოთვლა წარმოებს იმგვარად, რომ განხორციელდეს აქტივის თვითღირებულებასა და ნარჩენ ღირებულებას შორის სხვაობის ჩამოწერა, მისი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში:

დასახელება	სასარგებლო მომსახურების ვადები
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	3
კომპიუტერული ტექნიკა	4
ავეჯი და მოწყობილობები	4-6
სხვა	6

თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხდება სასარგებლო მომსახურების ვადის გადახედვა და ნებისმიერი ცვლილება აღიარდება პერსპექტიულად. ჩამოწერის შედეგი აღიარდება მოგება - ზარალში.

**არამატერიალური აქტივები**

არამატერიალური აქტივი არის იდენტიფიცირებადი არაფულადი აქტივი, ფიზიკური ფორმის გარეშე. არამატერიალური აქტივები 2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ძირითადად მოიცავს საბანკო ლიცენზიას. საბანკო ლიცენზიას აქვს განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადა და არ ამორტიზდება. სხვა შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივები ამორტიზდება ამორტიზაციის წრფივი მეთოდის შესაბამისად, მათი სასარგებლო ვადის განმავლობაში.

**არაფინანსური აქტივების გაუფასურება**

ბანკის არაფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება განიხილება ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა გაუფასურების რაიმე ნიშნები. მსგავსი ნიშნების არსებობის შემთხვევაში ფასდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება. გაუფასურების დადგენის მიზნით, აქტივები, რომლებიც ვერ შემოწმდება ინდივიდუალურად, ჯგუფდება აქტივების უმცირეს ჯგუფებად, რომლებიც ახდენს ფულადი ნაკადების გენერირებას ხანგრძლივი სარგებლობიდან, რომლებიც დამოუკიდებელი არიან სხვა აქტივების ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ფულადი შემოდინებებისგან. აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებადი ღირებულება არის მის გამოყენებით ღირებულებასა და სამართლიან ღირებულებას (გამოკლებული გაყიდვის ხარჯები) შორის უდიდესი.

გამოყენებითი ღირებულების შეფასებისას, მომავალში მისაღები სავარაუდო ფულადი ნაკადები დისკონტირდება მათ მიმდინარე ღირებულებაზე (გადასახადების გადახდამდე დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით), რაც ასახავს ბაზრის მიმდინარე შეფასებას ფულის ღირებულებისა დროში და ამ აქტივებისთვის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულისთვის დამახასიათებელ რისკებს.

**3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)**

გაუფასურების ზარალი აღიარდება თუ აქტივის და მასთან დაკავშირებული ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება აღემატება მის სავარაუდო ანაზღაურებად ღირებულებას. გაუფასურების ზარალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში. ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულთან მიმართებაში აღიარებული გაუფასურების ზარალი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ნაწილდება თავდაპირველად ნებისმიერი ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულზე განაწილებული გუდვილის საბალანსო ღირებულებაზე და ამცირებს მას, და შემდეგ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის სხვა აქტივების საბალანსო ღირებულებაზე წილობრივ საფუძველზე, და ამცირებს მას.

**კლიენტის ანგარიშები**

კლიენტის ანგარიშები არის ფიზიკური პირების ან კორპორატიული კლიენტების მიმართ არაწარმოებული ვალდებულებები და აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით.

**სხვა ფინანსური ვალდებულებები**

სხვა ფინანსური ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებებს არა-რეზიდენტ ბანკებში განთავსებული საკორესპონდენტო ანგარიშების გამოყენებიდან. სხვა ფინანსური ვალდებულებები აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით.

**სააქციო კაპიტალი**

ჩვეულებრივი აქციები გასათვალისწინებელი დივიდენდებით კლასიფიცირებულია როგორც კაპიტალი. დამატებითი ხარჯი, რომელიც პირდაპირ უკავშირდება ახალი აქციების გამოშვებას ნაჩვენებია კაპიტალში, როგორც შემოსავალიდან დაქვითვა, გადასახადის გარეშე.

**უვადო სუბორდინირებული სესხი**

განუსაზღვრელი ვადისა და პროცენტის გადახდების დაგროვების გარეშე გაუქმების შესაძლებლობის გამო ბანკი უვადო სუბორდინირებულ სესხს აღრიცხავს, როგორც წილობრივ ინსტრუმენტს და პირველადი კაპიტალის ინსტრუმენტს კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტის გამოთვლის მიზნებისთვის. ბანკი დოლარში გამოხატულ უვადო სუბორდინირებულ სესხს აღრიცხავს ლარის ეკვივალენტურ თანხად, საანგარიშგებო თარიღისთვის მოქმედი სავალუტო კურსის გამოყენებით, ხოლო ვალუტის გადაფასების ეფექტს აღრიცხავს გაუნაწილებელ მოგებაში.

**შემოსავლისა და ხარჯის აღიარება**

ბანკი გამოითვლის საპროცენტო შემოსავალს სავალდებულო ფინანსურ აქტივებზე, რომლებიც ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ფინანსური აქტივების (გარდა გაუფასურებული საკრედიტო აქტივებისა) საერთო საბალანსო ღირებულებაზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც მომავალში მოსალოდნელი გადახდილი და მიღებული ფულადი სახსრების ზუსტ დისკონტირებას ახდენს ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელ ვადაზე ან, როცა შესაძლებელია, უფრო ხანმოკლე პერიოდზე, ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. გაანგარიშება ითვალისწინებს ფინანსური ინსტრუმენტის ყველა საკონტრაქტო პირობას (მაგალითად წინასწარი გადახდის შესაძლებლობას) და მოიცავს ნებისმიერ საკომისიო თანხას და დამატებით ხარჯს, რომელიც პირდაპირ განეკუთვნება ინსტრუმენტს და წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს, გარდა სამომავლო საკრედიტო ზარალისა. ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულება კორექტირდება თუ ბანკი გადახედავს მის მიერ დასაფარი თუ მისაღები სავარაუდო თანხების შეფასებას. კორექტირებული საბალანსო ღირებულება გამოითვლება თავდაპირველ ეფექტურ საპროცენტო განაკვეთზე დაყრდნობით და ცვლილება საბალანსო ღირებულებაში აღირიცხება საპროცენტო შემოსავლად ან ხარჯად.

როდესაც ფინანსური აქტივი უფასურდება, ბანკი გამოითვლის საპროცენტო შემოსავალს ფინანსური აქტივის წმინდა ამორტიზებულ ღირებულებაზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. თუ ფინანსური აქტივები გამოსწორდა და აღარ არის გაუფასურებული, მაშინ ბანკი უბრუნდება საპროცენტო შემოსავლის გამოთვლას ბრუტო საფუძველზე.

შეძენილი ან შექმნილი გაუფასურებული ფინანსური აქტივების შემთხვევაში, ბანკი საპროცენტო შემოსავალს გამოითვლის საკრედიტო რისკის მიხედვით დაკორექტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიღებით და ამ განაკვეთის გამოყენებით აქტივის ამორტიზებულ ღირებულებაზე.

### 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

#### პირობითი აქტივები და ვალდებულებები, ანარიცხები

საკრედიტო რისკის მიხედვით დაკორექტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის საპროცენტო განაკვეთი, რომელიც, თავდაპირველი აღიარებისას, ახდენს მოსალოდნელი სამომავლო ფულადი ნაკადების (საკრედიტო ზარალის ჩათვლით) დისკონტირებას შექმნილი ან შექმნილი გაუფასურებული აქტივების ამორტიზებულ ღირებულებამდე. პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა ბანკიდან და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა ბანკში მოსალოდნელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ ბანკს აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა ბანკში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ჰქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ბანკში ანარიცხი აღიარდება, როდესაც ბანკს აქვს მიმდინარე მოვალეობა (იურიდიული ან კონსტრუქციული), რომელიც წარმოიქმნება წარსული მოვლენის შედეგად და სავარაუდოა, რომ მოვალეობის დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლა; და შესაძლებელია მოვალეობის თანხის საიმედოდ შეფასება.

#### იჯარა

##### ბანკი როგორც მოიჯარე

##### იჯარის იდენტიფიკაცია

ხელშეკრულების დაწყებისას ბანკმა უნდა შეაფასოს, მთლიანად ხელშეკრულება არის თუ არა იჯარა, ან შეიცავს თუ არა იჯარას. ხელშეკრულება არის საიჯარო ხელშეკრულება, ან შეიცავს იჯარას, თუ ხელშეკრულების მეშვეობით ხდება იდენტიფიცირებული აქტივის კონტროლის უფლების გადაცემა გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ანაზღაურების მიღების სანაცვლოდ. იმის დასადგენად, ესა თუ ის ხელშეკრულება გადასცემს თუ არა მომხმარებელს იდენტიფიცირებული აქტივის გამოყენების კონტროლის უფლებას გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ბანკმა უნდა შეაფასოს, გამოყენების პერიოდის განმავლობაში მომხმარებელს გააჩნია თუ არა შემდეგი ორივე უფლება:

- ხელშეკრულებაში იდენტიფიცირებული აქტივიდან პრაქტიკულად მთლიანი სარგებლის მიღების უფლება და
- იდენტიფიცირებული აქტივის გამოყენების წესის განსაზღვრის უფლება

##### საწყისი აღიარება

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ბანკი აღიარებს აქტივის გამოყენების უფლებას და საიჯარო ვალდებულებას, გარდა:

- იჯარისა, რომლის საიჯარო აქტივს დაბალი ღირებულება აქვს და
- იჯარისა, რომლის ვადა 12 თვეზე ნაკლებია.

იჯარა ბანკის ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება როგორც:

- აქტივი, რომელიც წარმოადგენს იჯარის ვადის განმავლობაში, იჯარის ობიექტის გამოყენების უფლებას და
- ვალდებულება საიჯარო გადასახდელების ანაზღაურებისთვის.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, მოიჯარემ საიჯარო ვალდებულება უნდა შეაფასოს იმ საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების მიხედვით, რომლებიც ამ თარიღისთვის განხორციელებული არ არის. საიჯარო გადახდების დისკონტირება უნდა განხორციელდეს იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით, თუ ამ განაკვეთის განსაზღვრა ადვილად არის შესაძლებელი. თუ ეს შეუძლებელია, გამოიყენება იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის განსაზღვრული მოიჯარის ზღვრული სასესხო განაკვეთი. საიჯარო ვალდებულების შეფასებაში ცვლადი საიჯარო გადახდები მონაწილეობს იმ მოცულობით, რა მოცულობითაც დამოკიდებულია ინდექსზე ან განაკვეთზე. ცვლადი საიჯარო გადახდები თავდაპირველად ფასდება იჯარის ვადის დაწყების თარიღის მდგომარეობით ამ ინდექსის ან განაკვეთის გამოყენებით. სხვა ცვლადი საიჯარო გადახდები აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, რომელსაც ისინი მიეკუთვნება.

### 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ბანკის ვალდებულება საიჯარო გადასახდელების ანაზღაურებისთვის უნდა მოიცავდეს:

- თანხებს, რომელთა გადახდა მოსალოდნელია ნარჩენი ღირებულების გარანტიების მიხედვით;
- შესყიდვის არჩევანის უფლების ფასს, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე გამოიყენებს ამ უფლებას;
- იჯარის ვადამდე შეწყვეტისთვის ჯარიმებს, თუ იჯარის ვადა ასახავს მოიჯარის მიერ იჯარის ვადამდე შეწყვეტის არჩევანის უფლების გამოყენებას;

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის ბანკმა აქტივის გამოყენების უფლება თვითღირებულებით უნდა შეაფასოს. აქტივის გამოყენების უფლების თვითღირებულება უნდა მოიცავდეს:

- საიჯარო ვალდებულების თავდაპირველ შეფასებას,
- საიჯარო გადახდებს, რომლებიც უკვე განხორციელებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ან ამ თარიღამდე, მიღებული წამახალისებელი საიჯარო გადახდების გამოკლებით;
- მოიჯარის მიერ გაწეულ თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს; და
- იმ დანახარჯების შეფასებას, რომლებსაც მოიჯარე გასწევს საიჯარო აქტივის დემონტაჟისა და ლიკვიდაციის დროს, იმ ადგილის აღსადგენად, სადაც განთავსებულია აქტივი, ან საიჯარო აქტივის აღსადგენად ისეთ მდგომარეობაში მოყვანის მიზნით, რაც მოითხოვება საიჯარო ხელშეკრულების პირობებით.

#### შემდგომი შეფასება

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ საიჯარო ვალდებულება იზრდება პროცენტის ასახვით და მცირდება განხორციელებული საიჯარო გადახდებით. აქტივის გამოყენების უფლება მცირდება დაგროვილი ცვეთით და დაგროვილი გაუფასურების გამოკლებით. თუ საიჯარო ხელშეკრულების თანახმად საიჯარო აქტივზე საკუთრების უფლება იჯარის ვადის დასრულებისას მოიჯარეს გადაეცემა, ან აქტივის გამოყენების უფლების თვითღირებულება ასახავს მოიჯარის განზრახვას, რომ ის გამოიყენებს აქტივის შესყიდვის არჩევანის უფლებას, აქტივს ცვეთა უნდა დაერიცხოს იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან საიჯარო აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებამდე. სხვა შემთხვევაში, აქტივის გამოყენების უფლებას ცვეთა ერიცხება იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან შემდეგ ორ თარიღს შორის უფრო ადრინდელ თარიღამდე: აქტივის გამოყენების უფლების სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებისა და იჯარის ვადის დასრულების თარიღი.

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ ბანკმა ხელახლა უნდა შეაფასოს საიჯარო ვალდებულება, საიჯარო გადახდების ცვლილებების ასახვის მიზნით. საიჯარო ვალდებულება ხელახლა ფასდება გადასინჯული საიჯარო გადახდების და გადასინჯული დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, ნებისმიერ შემდეგ შემთხვევაში, თუ: შეიცვალა იჯარის ვადა, ან შეიცვალა საიჯარო აქტივის შესყიდვის არჩევანის უფლების შეფასება. თუ შეიცვალა თანხები, რომელთა გადახდაც მოსალოდნელია ნარჩენი ღირებულების გარანტიის პირობის ფარგლებში ან შეიცვალა მომავალი საიჯარო გადახდები იმის გამო, რომ შეიცვალა ამ გადახდების განსაზღვრისთვის გამოსაყენებელი ინდექსი ან განაკვეთი, საიჯარო ვალდებულება ხელახლა ფასდება იჯარის ვადის დასაწყისში განსაზღვრული დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც საიჯარო გადახდების ცვლილება გამოწვეულია ცვლადი საპროცენტო განაკვეთების ცვლილებით.

საიჯარო ვალდებულების ხელახალი შეფასების შედეგად მიღებული თანხა აღიარდება, როგორც აქტივის გამოყენების უფლების კორექტირება. თუ აქტივის გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულება მცირდება ნულამდე და ამავე დროს მცირდება საიჯარო ვალდებულების შეფასებაც, ხელახალი შეფასების თანხის დარჩენილი ნაწილი უნდა აღიარდეს მოგება/ზარალში.

როცა ბანკი ახდენს იჯარის სახელშეკრულებო პირობების მოდიფიკაციას, ამ შემთხვევაში, აღრიცხვა დამოკიდებულია მოდიფიკაციის შინაარსზე:

- იჯარის მოდიფიკაცია უნდა აისახოს, როგორც განცალკევებული იჯარა, თუ მოდიფიკაციის შედეგად იზრდება იჯარის გამოყენების სფერო და იჯარის ანაზღაურება იზრდება გაზრდილი გამოყენების სფეროს შესაფერისი ანაზღაურებით.
- იჯარის ისეთი მოდიფიკაციის შემთხვევაში, რომელიც არ აღიარდება, როგორც განცალკევებული იჯარა, იჯარის მოდიფიკაციის ძალაში შესვლის თარიღისთვის მოიჯარე ხელახლა აფასებს საიჯარო ვალდებულებას გადასინჯული საიჯარო გადახდების დისკონტირებით გადასინჯული დისკონტირების განაკვეთის საფუძველზე.

**3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)**

- იჯარის ისეთი მოდიფიკაციის შემთხვევაში, რომლის შედეგად მცირდება იჯარის მოქმედების სფერო, მცირდება აქტივის გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულება იჯარის ნაწილობრივ ან სრულად შეწყვეტის ასახვის მიზნით, მოგება/ზარალში აღიარდება ნებისმიერი შემოსულობა ან ზარალი, რომელიც დაკავშირებულია იჯარის ნაწილობრივ ან მთლიანად შეწყვეტასთან; საიჯარო ვალდებულება შემდგომში კორექტირდება იმგვარად, რომ მისმა საბალანსო ღირებულებამ ასახოს მოდიფიცირებული საიჯარო გადასახდელები მოდიფიცირებული ვადის განმავლობაში, რომლებიც დადისკონტრირებულია მოდიფიკაციის თარიღისთვის არსებული განაკვეთით. ასეთ დროს, აქტივის გამოყენების უფლებაც შესაბამისი თანხით კორექტირდება.

ბანკი არასაიჯარო კომპონენტებს არ გამოაცალკევებს საიჯარო კომპონენტებისგან და ამის ნაცვლად თითოეული საიჯარო კომპონენტი და მასთან დაკავშირებული არასაიჯარო კომპონენტი აღრიცხება, როგორც ერთი საიჯარო კომპონენტი.

**იჯარის ვადის განსაზღვრა**

იჯარის ვადა არის იჯარის არაგაუქმებადი პერიოდი, რომლის განმავლობაშიც მოიჯარეს აქვს საიჯარო აქტივის გამოყენების უფლება, შემდეგ პერიოდებთან ერთად: ა) პერიოდები, რომლებსაც მოიცავს იჯარის გაგრძელების არჩევანის უფლება (მათ შორის მიღებული საქმიანი პრაქტიკით გამყარებული), თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე ამ უფლებას გამოიყენებს; და ბ) პერიოდები, რომლებსაც მოიცავს იჯარის ვადამდე შეწყვეტის არჩევანის უფლება, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე ამ უფლებას არ გამოიყენებს.

ხელმძღვანელობა იყენებს მსჯელობას იჯარის ვადის დადგენისას. იმის შესაფასებლად, საკმარისად სარწმუნოა თუ არა, რომ მოიჯარე გამოიყენებს იჯარის გაგრძელების უფლებას, ან არ გამოიყენებს იჯარის ვადამდე შეწყვეტის უფლებას, ბანკი განიხილავს ყველა სათანადო ფაქტს და გარემოებას, რომელიც მოიჯარეს ეკონომიკურ სტიმულს უქმნის, გამოიყენოს იჯარის გაგრძელების უფლება, ან არ გამოიყენოს იჯარის ვადამდე შეწყვეტის უფლება.

**ზღვრული სასესხო განაკვეთი**

ზღვრული სასესხო განაკვეთი არის, საპროცენტო განაკვეთი, რომლის გადახდაც მსგავს ეკონომიკურ გარემოში მოუწევდა მოიჯარეს აქტივის გამოყენების უფლების ღირებულების მსგავსი ღირებულების აქტივის მოსაპოვებლად საჭირო სესხით სარგებლობისთვის, რომელსაც მსგავსი ვადა და უზრუნველყოფა ექნებოდა.

ხელმძღვანელობა იყენებს მსჯელობას ზღვრული სასესხო განაკვეთის დადგენისთვის. დაკვირვებადი მონაცემების გამოყენებით განისაზღვრება ძირითადი განაკვეთი, რომელიც კორექტირდება მოიჯარისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ფაქტორებით და უზრუნველყოფის (იჯარის ობიექტის) მახასიათებლებით.

**საიჯარო გადახდების განსაზღვრა**

საქართველოში ხშირად იჯარის ხელშეკრულება არ მოიცავს ჩანაწერს (ან მოიცავს არასრულს ჩანაწერს) იჯარის განახლების/ გაგრძელების შესახებ. ზემოთხსენებული უფლების არსებობა გამყარებულია მიღებული საქმიანი პრაქტიკის შესაბამისად. ბანკი ამგვარ მიღებულ საქმიან პრაქტიკას განიხილავს ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილად. ასეთი შემთხვევებისთვის, საიჯარო ვალდებულების განსაზღვრისას შეფასებული საიჯარო გადახდები არის უცვლელი მთელი საიჯარო ვადის განმავლობაში განახლებადი პერიოდის ჩათვლით.

**პერსონალის ხარჯი**

ხელფასები, სარგოები, ანაზღაურებადი წლიური შვებულება და ავადმყოფობის გამო შვებულება, ბონუსები და არაფულადი სარგებელი, ასევე, თანხა გადახდილი წილობრივ ინსტრუმენტზე დაირიცხება იმ წელს, რომელ წელსაც გაწეული იქნა შესაბამისი მომსახურებები ბანკის თანამშრომლების მიერ.

**საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები**

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან ბანკის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსური ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ ბანკის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

**4. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები**

ბანკი ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებებისა და გადაწყვეტილებების გადახედვა ხდება მუდმივად, გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს მომავალ პერიოდში მოსალოდნელ მოვლენებსაც. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

**გადასახადით დაბეგრვა** - საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობა ხშირად იცვლება და სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. ხელმძღვანელობის მიერ ბანკის ოპერაციებთან და საქმიანობასთან დაკავშირებული კანონმდებლობისა და ცვლილებების ინტერპრეტაცია შეიძლება შესაბამისმა ორგანოებმა ექვემდებარებულ დააყენონ. შემოწმებისას შეიძლება ადგილი ჰქონდეს დამატებით გადასახადებს, ჯარიმებს ან საურავებს. ფისკალური პერიოდები ექვემდებარება უფლებამოსილი ორგანოების მიერ საგადასახადო კუთხით შემოწმებას სამი წლის განმავლობაში, შემოწმების წლის ჩათვლით. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მის მიერ შესაბამისი კანონმდებლობის ინტერპრეტაცია ჯეროვანია და რომ ბანკის საგადასახადო შეფასება უცვლელი დარჩება.

**ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები** - როგორც ზემოთ აღინიშნა, კომპანია გადახედავს ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს ანგარიშგების ყოველი წლიური პერიოდის ბოლოს.

აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

**იჯარის ვადების განსაზღვრა იმ ხელშეკრულებებისთვის, სადაც კომპანია წარმოადგენს მოიჯარეს** - იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის ბანკი აფასებს, საკმარისად სარწმუნოა თუ არა, რომ იგი გამოიყენებს იჯარის გაგრძელების, ან საიჯარო აქტივის შესყიდვის არჩევანის უფლებას, ან არ გამოიყენებს იჯარის ვადამდე შეწყვეტის არჩევანის უფლებას. ბანკი ითვალისწინებს ყველა სათანადო ფაქტსა და გარემოებას, რომელიც ეკონომიკურ სტიმულს უქმნის მოიჯარეს იმისთვის, რომ გამოიყენოს ან არ გამოიყენოს ეს უფლება, მათ შორის იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან ამ არჩევანის უფლების გამოყენების თარიღამდე პერიოდში ფაქტებისა და გარემოებების მოსალოდნელ ცვლილებებს.

ამასთან დაკავშირებით გასათვალისწინებელ ფაქტორებს, სხვასთან ერთად, განეკუთვნება:

ა) არჩევით პერიოდებთან დაკავშირებული სახელშეკრულებო პირობები, საბაზრო განაკვეთებთან შედარებით, როგორიცაა:

- (i) საიჯარო გადახდების ოდენობა ნებისმიერ არჩევით პერიოდში;
- (ii) ცვლადი საიჯარო გადახდების ან სხვა პირობითი გადახდების სიდიდე;
- (iii) ნებისმიერი არჩევანის უფლებების პირობები, რომლებიც გამოყენებას ექვემდებარება თავდაპირველი არჩევითი პერიოდების შემდეგ.

ბ) საიჯარო ქონების მნიშვნელოვანი გაუმჯობესება, რომელიც განხორციელდა (ან მოსალოდნელია, რომ განხორციელდება) ხელშეკრულების ვადის განმავლობაში და მოსალოდნელია, რომ მნიშვნელოვან ეკონომიკურ სარგებელს მოუტანს მოიჯარეს, როდესაც შესაძლებელი იქნება იჯარის გაგრძელების ან ვადამდე შეწყვეტის, ან საიჯარო აქტივის შესყიდვის არჩევანის უფლების რეალიზება;

გ) იჯარის ვადამდე შეწყვეტასთან დაკავშირებული დანახარჯები, როგორცაა მოლაპარაკებების წარმოების დანახარჯები, აქტივის გადაადგილების დანახარჯები, სხვა საიჯარო აქტივის იდენტიფიკაციასთან დაკავშირებული დანახარჯები, რომელიც მოიჯარის საჭიროებების შესაფერისია, მოიჯარის ოპერაციებში ახალი აქტივის ინტეგრირების დანახარჯები, ან იჯარის ვადამდე შეწყვეტისთვის განკუთვნილი ჯარიმები და სხვა ანალოგიური დანახარჯები, მათ შორის, რომლებიც დაკავშირებულია საიჯარო აქტივისთვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული მდგომარეობის, ან საიჯარო აქტივის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ადგილზე დაბრუნებასთან;

დ) საიჯარო აქტივის მნიშვნელობა მოიჯარის საქმიანობისთვის, მათ შორის, შემდეგი ასპექტების გათვალისწინება: საიჯარო აქტივი სპეციალიზებული აქტივია თუ არა, საიჯარო აქტივის ადგილმდებარეობა და შესაფერისი ალტერნატიული ვარიანტების არსებობა; და

**4. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები (გაგრძელება)**

ე) არჩევანის უფლების გამოყენებასთან დაკავშირებული პირობითობა (ე.ი. როდესაც არჩევანის უფლების გამოყენება მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ ერთი ან რამდენიმე პირობა დაკმაყოფილებულია) და ამ პირობების მატერიალიზების ალბათობა.

დეტალები იჯარის ვადების შესახებ, იმ ხელშეკრულებებისთვის, სადაც კომპანია წარმოადგენს მოიჯარეს, იხილეთ მე-8 შენიშვნაში.

**ზღვრული საპროცენტო განაკვეთის განსაზღვრა იმ ხელშეკრულებებისთვის, სადაც ბანკი წარმოადგენს მოიჯარეს**

ხელმძღვანელობა იყენებს მსჯელობას ზღვრული სასესხო განაკვეთის დადგენისთვის. დაკვირვებადი მონაცემების გამოყენებით განისაზღვრება ძირითადი განაკვეთი, რომელიც კორექტირდება მოიჯარისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ფაქტორებით და უზრუნველყოფის (იჯარის ობიექტის) მახასიათებლებით. კომპანიამ გამოიყენა ერთი და იგივე დისკონტირების განაკვეთი მეტ-ნაკლებად ანალოგიური მახასიათებლების მქონე საიჯარო ხელშეკრულებების პორტფელთან მიმართებაში;

დეტალები ზღვრული სასესხო განაკვეთის შესახებ, იმ ხელშეკრულებებისთვის, სადაც ბანკი წარმოადგენს მოიჯარეს, იხილეთ მე-8 შენიშვნაში.

**5. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა**

ბანკის საქმიანობისთვის გარკვეული რისკებია დამახასიათებელი და მათი მართვა ხორციელდება გამოვლენის, შეფასებისა და კონტროლის უწყვეტი პროცესით, რისკების ლიმიტებისა და კონტროლის სხვა მექანიზმების მეშვეობით. რისკის მართვას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ბანკის რენტაბელურობისათვის და ბანკის თითოეული თანამშრომელი პასუხისმგებელია რისკების გამომჟღავნებასა და აღმოჩენაზე თავისი საქმიანობის ფარგლებში. ბანკის საქმიანობისთვის დამახასიათებელი ძირითადი რისკებია საკრედიტო, ლიკვიდურობის, საბაზრო, საოპერაციო რისკები და სხვა არაფინანსური რისკები. ბანკის მიერ დანერგილი რისკის მართვის სისტემა საქმიანობის თითოეული მიმართულებისთვის თითოეული ტიპის რისკის დასაშვებ დონეს აწესებს და უზრუნველყოფს მის დაცვას.

დირექტორთა საბჭოს აქვს საერთო პასუხისმგებლობა რისკის მართვის ჩარჩოს ზედამხედველობაზე, ძირითადი რისკების მართვის ზედამხედველობასა და მისი რისკების მართვის პოლიტიკისა და პროცედურების მიმოხილვაზე, აგრეთვე არსებითად დიდი დაქვემდებარებების დამტკიცებაზე.

სამეთვალყურეო საბჭო საბოლოოდ პასუხისმგებელია რისკების განსაზღვრასა და კონტროლზე; თუმცა, არსებობს ცალკეული დამოუკიდებელი ორგანოები, რომლებიც პასუხისმგებელი არიან რისკების მართვასა და მონიტორინგზე. ამჟამად რისკი იმართება, შემდეგი ერთეულების მიერ:

- საკრედიტო რისკს მართავს საკრედიტო რისკის კომიტეტი;
- ლიკვიდობის რისკს მართავს ბანკის ფინანსური დეპარტამენტი, ხაზინის განყოფილება;
- საბაზრო რისკს მართავს ბანკის ფინანსური დეპარტამენტი, ხაზინის განყოფილება;
- საოპერაციო რისკს მართავს რისკების მართვის დეპარტამენტი.

**საკრედიტო რისკი**

ბანკი ექვემდებარება საკრედიტო რისკს, რომელიც გულისხმობს, რომ მომხმარებელს ან კონტრაგენტს არ შეუძლია თავისი ვალდებულებების შესრულება – გადაუხდელი თანხების გადახდა. ბანკის საკრედიტო რისკი წარმოიშობა მისი საკრედიტო ოპერაციების და მხარეებთან სხვა გარიგებების შედეგად, ფინანსური აქტივების ირგვლივ. საბალანსო მუხლების საკრედიტო რისკის მაქსიმალური მოცულობა შეადგენს მათ საბალანსო ღირებულებებს.

ბანკი ხელმძღვანელობს „მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების“ (ECL) მოდელით. ეს საჭიროებს მსჯელობას იმის შესახებ თუ როგორ იმოქმედებს ეკონომიკური ფაქტორები ECL მოდელზე, რაც განისაზღვრება შეწონილი ალბათობის საფუძველზე. ფას 9-ის მიხედვით, ზარალის ანარიცხის განსაზღვრა ხდება შემდეგნაირად: ა) 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი - ისეთი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, რომელიც გამოწვეულია იმ დეფოლტის მოვლენებისგან ფინანსურ ინსტრუმენტებზე, რომელთა მოხდენაც შესაძლებელია შემდგომი 12 თვის განმავლობაში. ბ) არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი - ისეთი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, რომელიც გამოწვეულია ყველა შესაძლო დეფოლტის მოვლენისგან, რომელთა მოხდენაც შესაძლებელია ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი არსებობის მანძილზე.

**სს პეისერა ბანკი საქართველო**

**ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები**

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს

(ათას ლარში)

**5. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)**

არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასების მოდელი მოქმედებს მაშინ, როდესაც ფინანსური აქტივის საკრედიტო რისკი ანგარიშგების პერიოდისათვის მნიშვნელოვნად გაზრდილია მის თავდაპირველ აღიარებასთან შედარებით, ხოლო თუ რისკი არ არის გაზრდილი მოქმედებს 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი. კომპანიას შეუძლია განსაზღვროს რომ ფინანსური აქტივის საკრედიტო რისკი არ გაზრდილა მნიშვნელოვნად, იმ შემთხვევაში თუ აქტივს აქვს დაბალი საკრედიტო რისკი ანგარიშგების წარდგენის პერიოდისათვის. თუმცა, არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოქმედება ყოველთვის ვრცელდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნებზე.

2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკს არ აქვს აღრიცხული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ფინანსურ ანგარიშგებაში, რადგან ხელმძღვანელობის მოსაზრებით კომპანიის ფინანსური აქტივები - ფული და ფულის ეკვივალენტები და ფულის ნაშთი საქართველოს ეროვნულ ბანკში საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის წარმოადგენს „არც გაუფასურებული და არც ვადაგადაცილებული აქტივების კატეგორიას“ და მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ამ აქტივებზე 0-ს უტოლდება.

**საბაზრო რისკი**

საბაზრო რისკი არის რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება ან მომავალი ფულადი ნაკადები შეიცვლება, რაც გამოწვეული იქნება ცვლილებებით საბაზრო ცვლადებში, როგორებიცაა საპროცენტო განაკვეთი და უცხოური გაცვლითი კურსი. უცხოურ ვალუტაში არსებული აქტივების (ფულადი სახსრები ბანკებში) გარდა ბანკს არ გააჩნია არსებითი საბაზრო რისკი.

*საპროცენტო განაკვეთის რისკი*

საპროცენტო განაკვეთის რისკი არის რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება ან მომავალი ფულადი ნაკადები შეიცვლება საბაზრო საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო. 2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკი არსებითად არ ექვემდებარება საპროცენტო განაკვეთის რისკს, რადგან მას არ გააჩნია ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ნაშთები, რომლებიც ცვალებადი საპროცენტო განაკვეთების მატარებელია.

*სავალუტო რისკი*

სავალუტო რისკი არის რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება ან მომავალი ფულადი ნაკადები შეიცვლება გაცვლითი კურსის მერყეობის გამო.

ქვემოთ ცხრილებში წარმოდგენილია ბანკისთვის ყველაზე მაღალი რისკის მატარებელი ვალუტები, რომლებშიც ძირითადად გამოხატულია ბანკის ფინანსური აქტივები და ვალდებულებები 31 დეკემბრის მდგომარეობით. ანალიზის პროცესში ფასდება უცხოური ვალუტის ლარის მიმართ კურსის ცვლილების ეფექტი, როდესაც სრული შემოსავლის ანგარიშგების ყველა სხვა პირობა უცვლელია (სავალუტო კურსის მიმართ მგრძობიარე ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების სამართლიანი ღირებულების გამო).

	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	31.12.2023
<b>ფინანსური აქტივები</b>				
ფული და ფულის ეკვივალენტები	1,765	6,274	1,517	9,556
ფულის ნაშთი საქართველოს ეროვნულ ბანკში	-	44	22	66
	<b>1,765</b>	<b>6,318</b>	<b>1,539</b>	<b>9,622</b>
<b>ფინანსური ვალდებულებები</b>				
ვალდებულებები კლიენტების მიმართ	545	452	266	1,263
საიჯარო ვალდებულება	-	185	-	185
სხვა ფინანსური ვალდებულებები	-	-	766	766
სხვა ვალდებულებები	24	64	10	98
	<b>569</b>	<b>701</b>	<b>1,042</b>	<b>2,312</b>
<b>ღია სავალუტო პოზიცია</b>	<b>1,196</b>	<b>5,617</b>	<b>497</b>	



**სს პეისერა ბანკი საქართველო**

**ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები**

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს

(ათას ლარში)

**5. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)**

	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	31.12.2022
<b>ფინანსური აქტივები</b>				
ფული და ფულის ეკვივალენტები	2,419	4,013	12	6,444
	<b>2,419</b>	<b>4,013</b>	<b>12</b>	<b>6,444</b>
<b>ფინანსური ვალდებულებები</b>				
საიჯარო ვალდებულება	-	287	-	287
სხვა ვალდებულებები	26	-	-	26
	<b>26</b>	<b>287</b>	<b>-</b>	<b>313</b>
<b>ღია სავალუტო პოზიცია</b>	<b>2,393</b>	<b>3,726</b>	<b>12</b>	

**სავალუტო რისკის მგრძობელობის ანალიზი**

მოცემული ცხრილი წარმოადგენს ბანკის მგრძობელობას შესაბამისი უცხოური ვალუტების ლართან მიმართებაში 20%-ით გაზრდაზე და შემცირებაზე. 20% არის მგრძობელობის განაკვეთი, რომელიც გამოიყენება ბანკის ხელმძღვანელობის მიერ სავალუტო რისკის შიდა კონტროლისთვის და წარმოადგენს სავალუტო კურსის სხვაობის შეფასებას ბანკის ხელმძღვანელობის მიერ.

მგრძობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ უცხოურ ვალუტაში გამოხატულ დაუფარავ ფულად მუხლებს და აკორექტირებს მათ გადაფასებას პერიოდის ბოლოს სავალუტო კურსების გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელი ცვლილების მიხედვით.

გაგლენა წმინდა მოგებაზე აქტივების ღირებულების მიხედვით წარმოადგენილია შემდეგნაირად:

31.12.2023	ლარი / აშშ დოლარი		ლარი / ევრო	
	20%	-20%	20%	-20%
მოგება/ (ზარალი)	1,123	(1,123)	99	(99)
31.12.2022	ლარი / აშშ დოლარი		ლარი / ევრო	
	20%	-20%	20%	-20%
მოგება/ (ზარალი)	745	(745)	2	(2)

**ლიკვიდურობის რისკი**

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ ბანკი ვერ შეძლებს მისი გადახდის ვალდებულებების დაკმაყოფილებას დაფარვის თარიღისთვის ჩვეულებრივ და სტრესულ სიტუაციაში.

**სავალდებულო მოთხოვნები ლიკვიდურობასთან დაკავშირებით**

ლიკვიდურობის გადაფარვის კოეფიციენტის დებულება (#70/04 დებულება) სებ-მა დაამტკიცა და გამოაქვეყნა 2017 წლის 15 მაისს და ძალაში შევიდა 2017 წლის 1 სექტემბრიდან. ლიკვიდურობის გადაფარვის კოეფიციენტი გამოითვლება ბაზელ III-ის პრინციპების თანახმად, თუმცა უფრო მაღალი კოეფიციენტებიც დასაშვებია.

სებ-ი ყველა ბანკს ავალდებულებს, რომ ყოველდღიურად შეინარჩუნონ მინიმუმ 75.0%-იანი ლიკვიდურობის გადაფარვის კოეფიციენტი ლარში, 100.0%-იანი ლიკვიდურობის გადაფარვის კოეფიციენტი უცხოურ ვალუტაში და 100.0%-იანი ლიკვიდურობის გადაფარვის კოეფიციენტი მთლიანობაში.

2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკი აკმაყოფილებს ზემოთ ჩამოთვლილ მოთხოვნებს.

**სს პეისერა ბანკი საქართველო**

**ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები**

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს

(ათას ლარში)

**5. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)**

**დარჩენილი საკონტრაქტო ვადების ანალიზი**

ქვემოთ მოცემულ ცხრილებში შეჯამებულია 2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკის ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი ხელშეკრულებით გათვალისწინებული არადისკონტირებული დაფარვის ვალდებულებების მიხედვით.

	ერთი წლის განმავლობაში	ერთ წელზე მეტი	31.12.2023
<b>ვალდებულებები</b>			
საიჯარო ვალდებულება	109	91	200
სხვა ვალდებულებები	98	-	98
სხვა ფინანსური ვალდებულებები	766	-	766
ვალდებულებები კლიენტების მიმართ	1,263	-	1,263
<b>სულ ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული პოტენციური მომავალი გადახდები</b>	<b>2,236</b>	<b>91</b>	<b>2,327</b>

	ერთი წლის განმავლობაში	ერთ წელზე მეტი	31.12.2022
<b>ვალდებულებები</b>			
საიჯარო ვალდებულება	110	202	312
სხვა ვალდებულებები	26	-	26
<b>სულ ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული პოტენციური მომავალი გადახდები</b>	<b>136</b>	<b>202</b>	<b>338</b>

**საოპერაციო რისკი**

საოპერაციო რისკი წარმოადგენს ზარალის რისკს, რომელიც წარმოიქმნება სისტემების მწყობრიდან გამოსვლის, ადამიანური შეცდომის, თაღლითობის ან გარე მოვლენების გამო. როდესაც ვერ ხორციელდება კონტროლი, საოპერაციო რისკებმა შესაძლოა გამოიწვიოს რეპუტაციის შელახვა, სამართლებრივი ან მარეგულირებელი ზომები ან ფინანსური ზარალი. ყველა საოპერაციო რისკის აღმოფხვრა შეუძლებელია, მაგრამ პოტენციურ რისკების სწორად განსაზღვრით და შესაბამისი კონტროლის მექანიზმების დანერგვით ბანკს შეუძლია რისკების მართვა. კონტროლის მექანიზმები უნდა ითვალისწინებდეს უფლება-მოვალეობების სწორად განაწილებას, წვდომების, უფლებამოსილებების იერარქიულ სტრუქტურებს და ოთხი თვალის პრინციპის დანერგვას, კადრებში რისკებზე ორიენტირებული კულტურის ჩამოყალიბებას, მომზადების და შეფასების პროცესებს, მათ შორის შიდა აუდიტის გამოყენებას.

საოპერაციო რისკების მართვა ხორციელდება რისკების დეპარტამენტის მიერ და მის შესაბამისობას არსებულ გამოწვევებთან მიმართებაში აკონტროლებს რისკების კომიტეტი.

**ფასს 7 სამართლიანი ღირებულების შეფასების იერარქია**

ფასს 7 მოითხოვს განმარტებით შენიშვნებს რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების და ვალდებულებებისთვის იმ დაშვებების შესახებ, რაც გამოყენებულ იქნა რეალური ღირებულების განსაზღვრისას. რეალური ღირებულების იერარქია მოიცავს შემდეგ დონეებს:

1. იდენტური აქტივების და ვალდებულებების კოტირებული ფასი (დაუკორექტირებელი) აქტიურ ბაზარზე (1-ლი დონე);
2. პირველ დონეში შემაჯავალი კოტირებული ფასისგან განსხვავებული სხვა ინფორმაცია, რომელიც არის დაკვირვებადი პირდაპირ ან არაპირდაპირ (მე-2 დონე); და
3. ინფორმაცია, რომელიც არ არის დაკვირვებადი აქტიურ ბაზარზე (მე-3 დონე).

## სს პეისერა ბანკი საქართველო

### ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს

(ათას ლარში)

#### 5. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

სამართლიანი ღირებულების იერარქია განისაზღვრება ყველაზე დაბალი დონის შესაბამისად, რომელიც არსებით გავლენას ახდენს რეალური ღირებულების განსაზღვრაზე. ფინანსური აქტივები და ვალდებულებები კლასიფიცირებულია ერთ-ერთ დონეში.

ბანკის ყველა ფინანსური ინსტრუმენტი აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისთვის, რომლებსაც მოკლევადიანი დაფარვის ვადა აქვთ (3 თვეზე ნაკლები), ნავარაუდევია, რომ მათი საბალანსო ღირებულება მათ სამართლიან ღირებულებას უტოლდება.

ფული და ფულის ეკვივალენტები, ფულის ნაშთი საქართველოს ეროვნულ ბანკში, საიჯარო ვალდებულებები, ვალდებულებები საკორესპონდენტო ანგარიშების გამოყენებიდან და სხვა ფინანსური ვალდებულებები - ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხება, რომელიც მათ მიმდინარე სამართლიან ღირებულებასთან არის მიახლოებული. ფულისა და ფულის ეკვივალენტების რეალური ღირებულება განსაზღვრულია პირველი დონის, ხოლო დანარჩენი ფინანსური აქტივების და ვალდებულებების რეალური ღირებულებები მე-3 დონის მიხედვით.

#### 6. კაპიტალის მართვა

ბანკის კაპიტალის მართვის ძირითადი მიზნებია:

- უზრუნველყოფა, რომ ბანკს მუდმივად ჰქონდეს საკმარისი ოდენობის და ხარისხის კაპიტალი, რათა ყველაზე ცუდ შემთხვევაშიც შეეძლოს სხვადასხვა რისკის შედეგად გამოწვეული (პოტენციური) დანაკარგების დაფარვა.
- შესაბამისობაში იყოს საქართველოს საბანკო სექტორის მარეგულირებელი ორგანოს მიერ დაწესებული გარე კაპიტალის მართვის მოთხოვნებთან.
- ბანკის მიერ უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპის თანახმად სტაბილური განვითარების გეგმების განხორციელება.

საქართველოს ეროვნული ბანკის მოთხოვნების თანახმად, 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ძირითადი პირველადი კაპიტალი (CET I), პირველადი კაპიტალი (Tier I) და მთლიანი კაპიტალის კოეფიციენტები განისაზღვრა, შესაბამისად, 4.50%, 6.00% და 8.00%-ის დონეზე. კაპიტალის კონსერვაციის ბუფერი განისაზღვრება 2.5%-ით, კონტრციკლური და სისტემური რისკის ბუფერები განისაზღვრება 0-2.5%-ით.

კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტების გაანგარიშება ხდება ყოველთვიურად ეროვნული ბანკის კაპიტალის ადეკვატურობის ბაზელ III ჩარჩოს შესაბამისად.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკი ინარჩუნებდა სებ-ის მიერ დაწესებულ კაპიტალის კოეფიციენტების ადეკვატურობის მოთხოვნებს. დეტალები წარმოდგენილია ცხრილში:

	კაპიტალის კოეფიციენტი	კაპიტალის მოთხოვნა
ძირითადი პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი (CET 1)	39.01%	7.25%
პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი (Tier 1)	172.72%	8.75%
საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტი	172.72%	10.75%

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკი ინარჩუნებდა სებ-ის მიერ დაწესებულ კაპიტალის კოეფიციენტების ადეკვატურობის მოთხოვნებს. დეტალები წარმოდგენილია ცხრილში:

	კაპიტალის კოეფიციენტი	კაპიტალის მოთხოვნა
ძირითადი პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი (CET 1)	86.80%	7.00%
პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი (Tier 1)	216.46%	8.50%
საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტი	216.46%	10.50%

**სს პეისერა ბანკი საქართველო**

**ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები**

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს

(ათას ლარში)

**7. ფული და ფულის ეკვივალენტები**

	<b>31.12.2023</b>	<b>31.12.2022</b>
საკორესპონდენტო ანგარიშები სხვა ბანკებში	4,620	6,444
ვადიანი დეპოზიტები	2,696	-
ერთდღიანი დეპოზიტები	1,302	-
მიმდინარე ანგარიშები სებ-ში, გარდა სავალდებულო რეზერვისა	635	-
ფული სალაროში	303	-
	<b>9,556</b>	<b>6,444</b>

ხარისხობრივი ინფორმაცია ფულისა და ფულის ეკვივალენტების შესახებ მოცემულია მე-5 შენიშვნაში.

2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით „Fitch Ratings“-ის მიხედვით საქართველოს მთავრობის გრძელვადიანი უცხოური და ადგილობრივი ვალუტის ემიტენტის დეფოლტის რეიტინგები (IDRs) უცხოურ და ადგილობრივ ვალუტაში, განსაზღვრულია 'BB+' დადებითი პროგნოზებით (2022: 'BB+'). (ემიტენტის რეიტინგები საქართველოს უფროს არაუზრუნველყოფილ ობლიგაციებზე უცხოურ და ადგილობრივ ვალუტაში ასევე დადასტურებულია „BB+“ რეიტინგით დადებითი პროგნოზებით (2022: 'BB+'). ქვეყნის ზედა ზღვარი დადასტურებულია როგორც 'BBB-' (2022: 'BBB-') და მოკლევადიანი უცხოური ვალუტაში ემიტენტის დეფოლტის რეიტინგი 'B'-თი (2022: 'B').

31.12.2023 და 31.12.2022 თარიღების მდგომარეობით ბანკს განთავსებული აქვს ფულადი სახსრები "BB", "B+" (2022: "BB-") საკრედიტო რეიტინგის მქონე ბანკებში. ხელმძღვანელობა ვარაუდობს, რომ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის არა-არსებითი საანგარიშგებო თარიღებისთვის.

**8. სავალდებულო რეზერვები საქართველოს ეროვნულ ბანკში**

სავალდებულო სალაროს ნაშთები საქართველოს ეროვნულ ბანკში („სებ“) წარმოადგენს სებ-ში განთავსებულ თანხებს. რეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტები ვალდებული არიან იქონიონ საპროცენტო შემოსავალის მომტან აქტივებზე სავალდებულო რეზერვი სებ-ში, რომლის თანხა დამოკიდებულია ფინანსური ინსტიტუტების მიერ მოზიდული სახსრების დონეზე. სავალდებულო ფულის ნაშთი საქართველოს ეროვნულ ბანკში წარმოადგენილია 66 ათასი ლარის ოდენობით 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 0 ლარი). ხარისხობრივი ინფორმაცია სავალდებულო რეზერვების შესახებ საქართველოს ეროვნულ ბანკში მოცემულია მე-5 შენიშვნაში.

**9. არამატერიალური აქტივები**

ბანკის არამატერიალური აქტივები შედგება საბანკო ლიცენზიისაგან (თვითღირებულება: 200 ათასი ლარი) და პროგრამული უზრუნველყოფისაგან (თვითღირებულება: 2 ათასი ლარი), ჯამურად პერიოდის განმავლობაში არამატერიალურ აქტივებზე დარიცხული ამორტიზაცია შეადგენს: 2 ათას ლარს.

**10. იჯარა**

ბანკს იჯარით აქვს აღებული ფართი ადმინისტრაციული ოფისისთვის. საიჯარო გადასახდელები შედგება ფიქსირებული ნაწილისაგან და წარმოდგენილია დოლარში. იჯარის ზღვრული სასესხო განაკვეთი შეადგენს 8%-ს.

აქტივის გამოყენების უფლების მოძრაობა წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	<b>2023</b>	<b>2022</b>
<b>1 იანვარი</b>	<b>303</b>	<b>-</b>
შემოსვლა	-	321
ცვეთა	(107)	(18)
<b>31 დეკემბერი</b>	<b>196</b>	<b>303</b>

სს პეისერა ბანკი საქართველო

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს

(ათას ლარში)

10. იჯარა (გაგრძელება)

საიჯარო ვალდებულებების მოძრაობა წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2023	2022
<b>1 იანვარი</b>	<b>287</b>	-
შემოსვლა	-	321
საპროცენტო ხარჯი	8	4
გადახდა	(107)	(30)
კურსთა შორის სხვაობა	(3)	(8)
<b>31 დეკემბერი</b>	<b>185</b>	<b>287</b>

საიჯარო ვალდებულებების რეალური ღირებულება არ განსხვავდება მათი საბალანსო ღირებულებისგან. ხარისხობრივი ინფორმაცია საიჯარო ვალდებულებების შესახებ წარმოდგენილია მე-5 შენიშვნაში.

11. ძირითადი საშუალებები

ისტორიული ღირებულება	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	ავეჯი და ტექნიკური აღჭურვილობა	კომპიუტერული ტექნიკა	სხვა	სულ
<b>31.12.2021</b>	-	-	-	-	-
შემოსვლა	104	79	61	19	263
<b>31.12.2022</b>	<b>104</b>	<b>79</b>	<b>61</b>	<b>19</b>	<b>263</b>
შემოსვლა	-	30	7	18	55
<b>31.12.2023</b>	<b>104</b>	<b>109</b>	<b>68</b>	<b>37</b>	<b>318</b>
<b>დაგროვილი ცვეთა</b>					
<b>31.12.2021</b>	-	-	-	-	-
ცვეთა	-	(1)	(2)	-	(3)
<b>31.12.2022</b>	-	(1)	(2)	-	(3)
ცვეთა	(37)	(16)	(16)	(5)	(74)
<b>31.12.2023</b>	<b>(37)</b>	<b>(17)</b>	<b>(18)</b>	<b>(5)</b>	<b>(77)</b>
<b>საბალანსო ღირებულება</b>					
<b>31.12.2022</b>	<b>104</b>	<b>78</b>	<b>59</b>	<b>19</b>	<b>260</b>
<b>31.12.2023</b>	<b>67</b>	<b>92</b>	<b>50</b>	<b>32</b>	<b>241</b>

12. ვალდებულებები კლიენტების მიმართ

კლიენტების მიმართ ვალდებულებები მოიცავს ანგარიშებს შემდეგ ტიპის კლიენტებთან:

	31.12.2023	31.12.2022
იურიდიული პირები	985	-
ფიზიკური პირები	278	-
	<b>1,263</b>	-

## სს პეისერა ბანკი საქართველო

### ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს

(ათას ლარში)

#### 12. ვალდებულებები კლიენტების მიმართ (გაგრძელება)

კლიენტების მიმართ ვალდებულებები ეკონომიკის სექტორების მიხედვით:

	31.12.2023	31.12.2022
მრეწველობის სფერო	392	-
საინფორმაციო სისტემები	368	-
ფიზიკური პირები	278	-
ვაჭრობა	185	-
ტრანსპორტი და კომუნიკაცია	17	-
სხვა	23	-
	<b>1,263</b>	<b>-</b>

#### 13. სხვა ფინანსური ვალდებულებები

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ვალდებულებები საკორესპონდენტო ანგარიშების გამოყენებიდან შედგება პეისერა ლიტვის მიმართ ვალდებულებისგან 766 ათასი ლარის ოდენობით. აღნიშნული ვალდებულება წარმოადგენს ბანკის კლიენტების მიერ სხვა კომერციული ბანკების (არარეზიდენტი) ანგარიშებზე გადარიცხულ თანხებს, რომელზეც ანგარიშსწორება საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მოხდა.

საკორესპონდენტო ანგარიშების გამოყენებიდან წარმოშობილი ვალდებულებების შესახებ ხარისხობრივი ინფორმაცია მოცემულია მე-5 შენიშვნაში.

#### 14. გადავადებული საგადასახადო ვალდებულება

დროებითი სხვაობები ფინანსური აღრიცხვის მიზნებისათვის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებსა და საგადასახადო მიზნებისთვის გამოყენებულ ოდენობებს შორის წარმოშობს წმინდა გადავადებულ საგადასახადო ვალდებულებას. 2023 და 2022 წლების 31 დეკემბრისთვის ბანკის გადავადებული საგადასახადო ვალდებულება ძირითადად წარმოშობილია წლის განმავლობაში ბანკის მიერ შეძენილი ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების ფინანსურ და საგადასახადო ბაზების სხვაობით და შეადგენს 5 ათას ლარს (2022: 41 ათასი ლარი).

2022 წლის 27 დეკემბერს გამოქვეყნდა საქართველოს კანონი, საქართველოს საგადასახადო კოდექსში (სსკ) ცვლილების შეტანის შესახებ, რომელიც ძალაშია 2023 წლის 1 იანვრიდან. აღნიშნულ ცვლილებებს ბანკზე აქვს შემდეგი გავლენა: აღნიშნულ ცვლილებამდე საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით განსაზღვრული იყო, რომ საბანკო დაწესებულებები, საკრედიტო კავშირები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები და სესხის გამცემი სუბიექტები მოგების გადასახადის ახალი (ესტონური) რეჟიმით დაიბეგრებოდნენ 2023 წლის 1 იანვრიდან. ცვლილებამ განსაზღვრა, რომ დროითი განრიგი აღარ დაწესდება და მომავალში ეს სუბიექტები დაიბეგრებიან ისევ ძველი რეჟიმით, კერძოდ ერთობლივ შემოსავალსა და სსკ-ის მიერ გათვალისწინებული გამოქვითვების თანხებს შორის სხვაობის მიხედვით (97-ე მუხლი, მე-12 ნაწილი).

ასევე, სსკ-ის 98-ე მუხლს, რომელიც განსაზღვრავს მოგების გადასახადის განაკვეთს, დაემატა ახალი მე-4 ნაწილი, რომლის თანახმადაც, საბანკო დაწესებულების, საკრედიტო კავშირის, მიკროსაფინანსო ორგანიზაციის, სესხის გამცემი სუბიექტის დასაბეგრი მოგება დაიბეგრება 20 პროცენტით.

მიუხედავად იმისა, რომ დაბეგვრა მოხდება მოგების ე.წ. ძველი რეჟიმის თანახმად, შეიცვალა საფინანსო სფეროსთვის სსკ-ით განსაზღვრული შემოსავლისა და ხარჯის კერძოდ, სსკ-ის 141-ე მუხლი, რომელიც განსაზღვრავს დარიცხვის მეთოდით შემოსავლის მიღების მომენტს, დაემატა ახალი მე-5 ნაწილი, რომელმაც განსაზღვრა, რომ 2023 წლის 1 იანვრიდან საბანკო დაწესებულებამ, საკრედიტო კავშირმა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციამ სესხებზე დარიცხული პროცენტები შემოსავლად უნდა აღიარონ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) მიხედვით. რაც შეეხება გაცემულ სესხებზე რეზერვების გამოქვითვას, სსკ-ის განახლებული 109-ე მუხლის თანახმად, 2023 წლის 1 იანვრიდან აღნიშნული პირები ერთობლივი შემოსავლიდან სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვებს გამოიქვითავენ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) მიხედვით, ნაცვლად საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესისა.

2023 და 2022 წლებში მოგების გადასახადის განაკვეთი იყო 20% და 15% შესაბამისად, გარდა სახელმწიფო ფასიანი ქაღალდებიდან მიღებული მოგებისა.

**სს პეისერა ბანკი საქართველო**

**ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები**

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს

(ათას ლარში)

**15. კაპიტალი**

ბანკის სააქციო კაპიტალი შედგება აქციონერების შენატანებისგან ქართულ ლარში. 2023 წლის განმავლობაში კომპანიამ დამატებით გამოუშვა 450 ათასი ცალი B კლასის აქცია, რომლის განაღდებაც მოხდა ამავე წელს. 2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკის სააქციო კაპიტალი მოიცავდა 3,700 ათას და 3,250 ათას ავტორიზებულ სრულად გადახდილ აქციებს წლების შესაბამისად, ნომინალური ღირებულებით 1 ლარი თითოეული.

სააქციო კაპიტალი შედგება ჩვეულებრივი და მმართველობითი კლასის აქციებისგან. A კლასის 1 აქცია უზრუნველყოფს 50 ხმის უფლებას, B კლასის აქცია კი - ერთი ხმის უფლებას. აქციების სტრუქტურა და წილობრივი ფლობა წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

31.12.2023	A კლასის (მმართველობითი) აქციების რაოდენობა	B კლასის (ჩვეულებრივი) აქციების რაოდენობა	წილობრივი ფლობა
ირაკლი ვეკუა	100,000	900,000	27.03%
დიმიტრი ქუმსიშვილი	100,000	900,000	27.03%
ივანე თევდორაშვილი	100,000	900,000	27.03%
მინდია საბანაძე	375,000	-	10.13%
ზაზა ბუაძე	325,000	-	8.78%
	<b>1,000,000</b>	<b>2,700,000</b>	<b>100%</b>

31.12.2022	A კლასის (მმართველობითი) აქციების რაოდენობა	B კლასის (ჩვეულებრივი) აქციების რაოდენობა	წილობრივი ფლობა
დიმიტრი ქუმსიშვილი	100,000	900,000	30.77%
ირაკლი ვეკუა	100,000	900,000	30.77%
ივანე თევდორაშვილი	100,000	450,000	16.92%
მინდია საბანაძე	375,000	-	11.54%
ზაზა ბუაძე	325,000	-	10.00%
	<b>1,000,000</b>	<b>2,250,000</b>	<b>100%</b>

ბანკის წესდების მიხედვით მხოლოდ A კლასის აქციის მფლობელებს ენიჭებათ უფლება, აირჩიონ საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს წევრები ან გაათავისუფლონ ისინი სამეთვალყურეო საბჭოდან.

2023 წელს კომპანიის დამფუძნებლებმა მინდია საბანაძემ და ზაზა ბუაძემ კაპიტალში შეიტანეს სუბორდინირებული უვადო, გამოუთხოვადი 2,050 ათასი ლარის ღირებულების (2022: 4,250 ათასი ლარის ღირებულების) სესხები. სესხების შესახებ ინფორმაცია საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ვალუტა	საპროცენტო განაკვეთი	31.12.2023	31.12.2022
მინდია საბანაძე	აშშ დოლარი	3,230	2,000
ზაზა ბუაძე	აშშ დოლარი	2,785	2,001
		<b>6,015</b>	<b>4,001</b>

სესხი არის უვადო, ის წარმოადგენს ბანკის გრძელვადიან ვალდებულებას და სესხის დაბრუნებისთვის არ არის განსაზღვრული გადახდის თარიღი, არც სხვა შემთხვევები, როდესაც კრედიტორს შეუძლია მოსთხოვოს ბანკს ვალდებულების დაუყოვნებლივ შესრულება. სესხის გამცემს სესხის დაფარვის მოთხოვნის უფლება არ გააჩნია. ბანკს მხოლოდ 5 წლის შემდეგ აქვს სესხის დაფარვის უფლება.

სესხები არ არის უზრუნველყოფილი და მათზე არ ვრცელდება ბანკის ან მასთან დაკავშირებული პირის მიერ გაცემული გარანტია. მსესხებლის ფინანსური მდგომარეობის გაუარესების შემთხვევაში (ისევე როგორც მსესხებლის გაკოტრების ან ლიკვიდაციის შემთხვევაში), კრედიტორის მოთხოვნები დაკმაყოფილდება ბოლო რიგში (ე.ი. მსესხებლის ყველა სხვა დანარჩენი კრედიტორისა და დეპოზიტარის მოთხოვნათა დაკმაყოფილების შემდეგ).

## სს პეისერა ბანკი საქართველო

### ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს

(ათას ლარში)

#### 15. კაპიტალი (გაგრძელება)

სუბორდინირებული სესხი უნდა დაექვემდებაროს ბანკის ჩვეულებრივ აქციებში კონვერტაციას იმ შემთხვევაში, თუ ბანკის ძირითადი პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი ჩამოცდება ეროვნული ბანკის მიერ ბანკისთვის დაწესებულ ძირითადი პირველადი კაპიტალის მინიმალურ მოთხოვნას და ძირითადი პირველადი კაპიტალის სულ მცირე 5.125%-ს შორის უდიდეს მაჩვენებელს. სესხის კონვერტირება განხორციელდება სს "პეისერა ბანკი საქართველო" B კლასის (ჩვეულებრივ) აქციებში ნომინალური ღირებულებით.

#### 16. საპროცენტო შემოსავალი

	2023	2022
სხვა ბანკებში განთავსებული ანაბრებიდან მიღებული შემოსავალი	237	50
საპროცენტო შემოსავალი გაცემული სესხებიდან	-	48
	<b>237</b>	<b>98</b>

2022 წელს საპროცენტო შემოსავალი სესხებიდან (48 ათასი ლარი) ბანკმა მიიღო საბანკო ლიცენზიის მოპოვებამდე დაკავშირებულ მხარეებზე გაცემული სესხებიდან.

#### 17. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2023	2022
საკონსულტაციო ხარჯი*	(182)	(114)
მარკეტინგულ მომსახურებაზე გაწეული ხარჯები	(125)	-
წარმომადგენლობითი ხარჯი	(25)	(25)
სხვა	(120)	(10)
დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს ერთჯერადი გადასახადის ხარჯი	-	(100)
პროგრამული უზრუნველყოფის ხარჯი	-	(5)
	<b>(452)</b>	<b>(402)</b>

(\*) - საკონსულტაციო ხარჯი 2023 წელს მოიცავს აუდიტის მომსახურების ხარჯს - 72 ათასი ლარის ოდენობით.

#### 18. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან ბასს 24 „დაკავშირებული მხარეთა განმარტებითი შენიშვნების“ მიხედვით, არის, როდესაც:

- მხარე პირდაპირ, ან ერთი ან მეტი შუალედური რგოლის საშუალებით, არაპირდაპირ: აკონტროლებს საწარმოს, კონტროლდება საწარმოს მიერ, ან იმყოფება საერთო კონტროლის ქვეშ (ეს მოიცავს სათავო და შვილობილ საწარმოებს); საწარმოში ისეთი წილის მფლობელია, რომ მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა შეუძლია მასზე; და ერთობლივად აკონტროლებს საწარმოს;
- მხარე არის საწარმოს, ან მისი სათავო საწარმოს, უმაღლესი ხელმძღვანელობის წევრი;
- მხარე არის (ა) და (ბ) პუნქტებით გათვალისწინებული პიროვნებების ოჯახის წევრი;
- მხარე არის საწარმო, რომელსაც აკონტროლებს, ერთობლივად აკონტროლებს, ან მასზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს (ბ) და (დ) პუნქტებში განსაზღვრულ რომელიმე პიროვნებას, ან, რომელშიც მნიშვნელოვანი ხმის უფლებით პირდაპირ ან არაპირდაპირ სარგებლობენ ეს პიროვნებები.

დაკავშირებულ მხარეებთან თითოეული შესაძლო კავშირის განხილვისას, ყურადღება უნდა გამახვილდეს ოპერაციის ეკონომიკურ შინაარსზე, და არა მის სამართლებრივ მხარეზე. ბანკისა და მისი დაკავშირებული მხარეების არსებითი ურთიერთობის დეტალები მოცემულია ქვემოთ.



## სს პეისერა ბანკი საქართველო

### ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს

(ათას ლარში)

#### 18. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახული ოპერაციების შედეგები დაკავშირებულ მხარეებთან წარმოადგენილია შემდეგნაირად:

	2023		2022	
	უმაღლესი ხელმძღვანელობა	სხვა	უმაღლესი ხელმძღვანელობა	სხვა
უმაღლესი ხელმძღვანელობის მოკლევადიანი სარგებელი	(156)	-	(14)	-
მარკეტინგული მომსახურების ხარჯი	-	(61)	-	-
საპროცენტო შემოსავალი	-	-	-	48

#### 19. პირობითი ვალდებულებები

**ეროვნული ბანკის მოთხოვნები** - 2022 წლის 17 ნოემბერს საქართველოს ეროვნულმა ბანკმა სს პეისერა საქართველოზე გასცა საბანკო საქმიანობის ლიცენზია. განკარგულების ძალაში შესვლიდან 6 თვის მანძილზე მას შეეზღუდა რეალურ გარემოში საბანკო საქმიანობის განხორციელება და განესაზღვრა მოთხოვნები, რომელიც ეტაპობრივად უნდა დააკმაყოფილოს. 2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკს ეს მოთხოვნები სრულად არ აქვს დაკმაყოფილებული. საქართველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილია ზემოაღნიშნული მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში სს პეისერა ბანკი საქართველოს ჩამოართვას საბანკო საქმიანობის ლიცენზია.

**იურიდიული საკითხები** - 2023 და 2022 წელს ბანკს არ გააჩნია სასამართლო დავები. ხელმძღვანელობა იყენებს შიდა და გარე პროფესიონალების კონსულტაციებს და მიიჩნევს, რომ არ მოხდება არანაირი მატერიალური დანაკარგის წარმოქმნა იურიდიულ საკითხებთან დაკავშირებით, შესაბამისად არანაირი ანარიცხი არ არის შექმნილი სასამართლო დავებთან დაკავშირებით.

**გადასახადები** - საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ინტერპრეტაციები და ცვლილებები. გარდა ამისა, ხელმძღვანელობის საგადასახადო ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციებისაგან, ბანკის ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ და ბანკს დაეკისროს დამატებითი გადასახადები, საურავები, პროცენტები. ბანკის ხელმძღვანელობას მიაჩნია რომ ყველა გადასახადი გადახდილი აქვს და შესაბამისად, არანაირი ანარიცხი არ წარადგინა ფინანსურ ანგარიშგებაში. საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ ბანკის ოპერაციები 3 წლის განმავლობაში.

**საოპერაციო გარემო** - საქართველოს ბაზარზე პოზიციონირება წარმოშობს დამატებით ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ, სამართლებრივ და საკანონმდებლო რისკებს უფრო განვითარებულ ბაზართან შედარებით. კანონები და რეგულაციები, საგადასახადო და მარეგულირებელი ჩარჩოები ზეგავლენას ახდენენ საქართველოში ბიზნესის სწრაფ განვითარებაზე. საქართველოს მომავალ ეკონომიკურ კურსზე ზემოქმედებას ახდენს მთავრობის მიერ მიღებული ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ გარემოსთან ერთად.

#### 20. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ, 2024 წლის 12 იანვარს საქართველოს ეროვნული ბანკის განკარგულებით, სს პეისერა ბანკი საქართველოს უფლება მიეცა 1 წლის ვადით რეალურ გარემოში სრულად განახორციელოს კომერციული ბანკებისთვის ნებადართული საქმიანობა.

2024 წლის 12 მარტს სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორატის ერთობლივ კრებაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ბანკის მიერ ნებადართული კაპიტალის ფარგლებში, დამატებით 10,000,000 ცალი B კლასის აქციის გამოშვებაზე.

სს „პეისერა ბანკი საქართველო“

მმართველობის ანგარიშგება  
საქმიანობის მიმოხილვა

2023 წელი

**შინაარსი:**

1.	ზოგადი ინფორმაცია და ბანკის საქმიანობის ანალიზი.....	35
2.	ბანკის მფლობელობითი სტრუქტურა და კორპორაციული მართვა .....	35
3.	ინფორმაცია ბანკის ფილიალებთან დაკავშირებით .....	43
4.	ორგანიზაციის მომავალი განვითარების გეგმები .....	44
5.	კვლევისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებები.....	44
6.	საკუთარი აქციების გამოსყიდვა .....	44
7.	რისკების მართვა .....	44
8.	ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები .....	46
9.	არაფინანსური მაჩვენებლები.....	47
10.	დამატებითი განმარტებები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ.....	48

**1. ზოგადი ინფორმაცია და ბანკის საქმიანობის ანალიზი**

სს პეისერა ბანკი საქართველო (შემდგომში "ბანკი") დაარსდა 2022 წლის 1 მარტს. თავდაპირველად ის რეესტრში დარეგისტრირდა როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება - შპს პეისერა საქართველო (შემდგომში „კომპანია“). 2022 წლის 19 აგვისტოს კომპანიამ განიცადა რეორგანიზაცია, კერძოდ შეიცვალა სამართლებრივი ფორმა და ჩამოყალიბდა სააქციო საზოგადოებად. დღესდღეობით სააქციო საზოგადოება "პეისერა ბანკი საქართველო" მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და რეგისტრირებულია საიდენტიფიკაციო ნომრით: 402204841;

ბანკი ფუნქციონირებს საქართველოს ეროვნული ბანკის („სებ“) მიერ გაცემული საბანკო საქმიანობის ლიცენზიით. 2022 წელს საქართველოს ეროვნულმა ბანკმა სს "პეისერა საქართველოზე", ციფრული ბანკის ლიცენზირების პრინციპების გათვალისწინებით საბანკო საქმიანობის ლიცენზია გასცა. 2023 წლის 15 ივნისის, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ, საბანკო საქმიანობების ლიცენზიის ფარგლებში განსაზღვრული მოთხოვნები შესაბამისად, "სს "პეისერა საქართველოს" განსაზღვრული საბანკო საქმიანობების რეალურ რეჟიმში განხორციელების უფლებამოსილების მიენიჭა.

ბანკის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი N4/2;

**2. ბანკის მფლობელობითი სტრუქტურა და კორპორაციული მართვა**

**ბანკის აქციონერები**

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკის აქციები გადანაწილებულია შემდეგ აქციონერთა შორის მითითებული ოდენობით:

აქციონერები	დიმიტრი ქუშისიშვილი	ირაკლი ვეკუა	ივანე თევდორაშვილი	მინდია საბანაძე	ზაზა ბუაძე
<b>წილობრივი მონაწილეობა</b>	27.03%	27.03%	27.03%	10.14%	8.77%

**კორპორაციული მართვა**

ბანკის კორპორაციული მართვის ორგანოებს წარმოადგენენ აქციონერთა საერთო კრება, სამეთვალყურეო საბჭო და დირექტორატი, რომლებიც მოქმედებენ საქართველოს კანონმდებლობისა და ბანკის წესდებით განსაზღვრული საკუთარი პასუხისმგებლობისა და უფლებამოსილების ფარგლებში. აქციონერთა საერთო კრება ბანკის უმაღლესი მმართველობითი ორგანოა, იგი ირჩევს სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს, რომლებიც პასუხისმგებლები არიან ბანკის კორპორაციულ მართვასა და დირექტორთა საბჭოს ზედამხედველობაზე. სამეთვალყურეო საბჭო თავის მხრივ ნიშნავს დირექტორატის წევრებს, რომლებიც წარმოადგენს ბანკის ყოველდღიურ საქმიანობაზე პასუხისმგებელ აღმასრულებელ მმართველობით ორგანოს.

**აქციონერები და აქციონერთა კრება აქციონერთა კრება**

ბანკის აქციონერებს წარმოადგენენ პირები, რომლებიც დადგენილი წესისა და დებულებების თანახმად ფლობენ ბანკის აქციებს და რეგისტრირებულნი არიან ბანკის აქციათა რეესტრში. მათ აქვთ უფლება დაესწრონ და მონაწილეობა მიიღონ აქციონერთა საერთო კრებაში, მიიღონ დივიდენდები მათ მფლობელობაში არსებული აქციების რაოდენობის პროპორციულად და განკარგონ საკუთარი აქციები მოქმედი კანონმდებლობითა და ბანკის წესდებით დადგენილი წესით.

აქციონერთა საერთო კრება წარმოადგენს ბანკის მართვის უმაღლეს ორგანოს, რომელიც მოიწვევა და ტარდება ბანკის წესდებით დადგენილი წესით. აქციონერთა საერთო კრება გადაწყვეტილებას იღებს წესდებაში ჩამოთვლილ საკითხებზე ან/და სხვა ისეთ საკითხებზე, რომელიც გათვალისწინებულია ბანკის წესდებით ან/და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, მათ შორის: ამტკიცებს და ცვლის ბანკის წესდებს, იღებს გადაწყვეტილებას ბანკის

## სს პეისერა ბანკი საქართველო

მმართველობის ანგარიშგება

2023 წელი

გარდაქმნის, შერწყმის, გაყოფის ან ლიკვიდაციის შესახებ, წესდებით დადგენილი წესის შესაბამისად სამეთვალყურეო საბჭოს წევრების არჩევისა და გამოწვევის შესახებ, სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორატის ანგარიშების დამტკიცების ან უარყოფის, წლიური ანგარიშის დამტკიცების, დამოუკიდებელი აუდიტორის შერჩევის, დანიშვნის და გათავისუფლების შესახებ, ბანკის ნებადართული კაპიტალის გაზრდა-შემცირების ან საკუთარი აქციების გამოსყიდვის შესახებ.

### სამეთვალყურეო საბჭო

ბანკის საქმიანობაზე ზედამხედველობას ახორციელებს სამეთვალყურეო საბჭო. ის ასევე პასუხისმგებელია ბანკის კორპორაციულ მართვაზე და ბანკის მმართველობის სტრუქტურის ნებისმიერი წევრი უფლებამოსილია, ბანკის კორპორაციულ მართვასთან დაკავშირებულ არსებით პრობლემურ საკითხ(ებ)ზე მიმართოს სამეთვალყურეო საბჭოს.

სამეთვალყურეო საბჭო და თითოეული ხმის უფლების მქონე აქციონერი უფლებამოსილია დაასახელოს კანდიდატ(ებ)ი სამეთვალყურეო საბჭოში ასარჩევად. სამეთვალყურეო საბჭოს წევრების რაოდენობა ბანკის წესდების შესაბამისად, არ შეიძლება იყოს 3 (სამი) წევრზე ნაკლები, ხოლო სამეთვალყურეო საბჭოს დაკომპლექტებისას გათვალისწინებული და დაცული უნდა იქნას მოსაზრებათა მრავალფეროვნების ბალანსი, რაც გულისხმობს სამეთვალყურეო საბჭოს განსხვავებული უნარ-ჩვევების, კვალიფიკაციის და გამოცდილების მქონე პირებით დაკომპლექტებას. სამეთვალყურეო საბჭოს დაკომპლექტების სხვა საკითხები განისაზღვრება ბანკის წესდებისა და საკანონმდებლო მოთხოვნების შესაბამისად. 2023 წლის 31 დეკემბრის მოცემულობით, ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს სამი წევრიდან ორი წარმოადგენს სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელ წევრს, რომელთაგან ერთი მდებრობითი სქესის წარმომადგენელია.

სამეთვალყურეო საბჭოს სხდომები ბანკის წესდებისა და კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დაცვით უნდა გაიმართოს სულ მცირე კვარტალში ერთხელ მაინც. სამეთვალყურეო საბჭო გადაწყვეტილებაუნარიანია თუ სხდომას ესწრება ან მასზე წარმოდგენილია სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა 2/3 (კვორუმი). თუ სხდომის დღის წესრიგით განსაზღვრულ საკითხზე, ინტერესთა კონფლიქტიდან გამომდინარე, სამეთვალყურეო საბჭოს წევრს არ აქვს უფლება მიიღოს მონაწილეობა კენჭისყრაში, კვორუმი შემდგარია, თუ სხდომას ესწრება ინტერესთა კონფლიქტის არ მქონე სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა ნახევარზე მეტი.

სამეთვალყურეო საბჭოს სხდომა მოიწვევა, ტარდება და დოკუმენტირდება ბანკის წესდებისა და კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად. სამეთვალყურეო საბჭოს სხდომაზე დამსწრე თითოეულ წევრს გააჩნია ერთი ხმა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დღის წესრიგშია ისეთი საკითხი, რომელთან დაკავშირებითაც ასეთ წევრს გააჩნია ინტერესთა კონფლიქტი - ასეთ შემთხვევაში სამეთვალყურეო საბჭოს წევრს არ აქვს უფლება მონაწილეობა მიიღოს აღნიშნული საკითხის განხილვასა და კენჭისყრის პროცესში.

### სამეთვალყურეო საბჭოს ამოცანებსა და კომპეტენციას, მათ შორის, წარმოადგენს:

- ბანკის ორგანიზაციული სტრუქტურის განსაზღვრა, დამტკიცება და შეცვლა;
- სააღრიცხვო პოლიტიკის დამტკიცება;
- სამეთვალყურეო საბჭოს კომპეტენციას მიკუთვნებული პოლიტიკების დამტკიცება და ცვლილება;
- ბანკის კორპორაციული მართვის და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით და შესაბამისი რეგულაციებით კორპორაციულ მართვასთან დაკავშირებით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის ზედამხედველობა;
- დირექტორატის საქმიანობის ზედამხედველობა;
- დირექტორატის წევრების დანიშვნა და გათავისუფლება, მათი უფლებამოსილების სფეროების განსაზღვრის ჩათვლით;
- ბანკის ფინანსური დოკუმენტაციის, საბუღალტრო აღრიცხვის წიგნებისა და აქტივების შემოწმება, რაც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს ნაღდი ფულის, ფასიანი ქაღალდების და ბანკის სხვა აქტივების შემოწმებას პირადად, ცალკეული წევრების ან მოწვეული ექსპერტის მეშვეობით (ასეთი ექსპერტის დაქირავების ხარჯს გაიღებს ბანკი);

## სს პეისერა ბანკი საქართველო

მმართველობის ანგარიშგება

2023 წელი

- დირექტორატისგან ბანკის საქმიანობის შესახებ ანგარიშის (შვილობილ და აფილირებულ საწარმოებთან საქმიანობის ჩათვლით) მოთხოვნა და შიდა აუდიტის ან გარე შემოწმების შესახებ ინფორმაციის განხილვა;
- აქციონერთა რიგგარეშე კრების მოწვევა;
- წლიური ანგარიშისა და დირექტორატის მიერ მიწოდებული მოგების განაწილების წინადადების განხილვა;
- წლიური ბიუჯეტის დამტკიცება;
- აუდიტის კომიტეტისა და სამეთვალყურეო საბჭოსთან არსებული სხვა კომიტეტების წევრების დანიშვნა და გათავისუფლება;
- დირექტორატთან დროებითი ან/და მუდმივმოქმედი კომიტეტ(ებ)ის შექმნა, მათი ფუნქციების, უფლება - მოვალეობების განსაზღვრა;
- ბანკის ფილიალებისა და სერვისცენტრების, სხვა ანალოგიური ქვედანაყოფების შექმნა, დახურვა, მათი დებულებების დამტკიცება;
- დირექტორატთან დროებითი ან/და მუდმივმოქმედი კომიტეტ(ებ)ის შექმნა, მათი ფუნქციების, უფლება - მოვალეობების განსაზღვრა;
- ბანკის მიერ განსახორციელებელი სახაზინო ოპერაციების ლიმიტების განსაზღვრა. სამეთვალყურეო საბჭო უფლებამოსილია აღნიშნული უფლებამოსილების დელეგირება განახორციელოს დირექტორატთან არსებულ შესაბამის კომიტეტზე;
- ბანკის წესდებით სამეთვალყურეო საბჭოს უფლებამოსილებას მიკუთვნებული საკითხებსა და კანონმდებლობითა და საქართველოს ეროვნული ბანკის ნორმატიული აქტებით განსაზღვრულ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღება.

### ინფორმაცია სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა პროფესიული გამოცდილების შესახებ

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს წარმოადგენენ:

- ❖ **ლამა კახიშვილი** - ბანკს შემოუერთდა 2022 წლის აგვისტოში

#### დაკავებული პოზიცია

- სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე;
- აუდიტის კომიტეტის წევრი;
- რისკების კომიტეტის წევრი.

#### განათლება

- ბიზნეს ადმინისტრირება - ბაკალავრის ხარისხი - 2011 წელი - „კავკასიის ბიზნეს სკოლა“ კავკასიის უნივერსიტეტი
- საჯარო მმართველობა - მაგისტრის ხარისხი - 2023 წლის (მიმდინარე) შპაიერის ადმინისტრაციულ მეცნიერებათა უნივერსიტეტი
- გლობალური ბიზნეს ადმინისტრირება - მაგისტრი ხარისხი - 2023 წელი (მიმდინარე) - IE უნივერსიტეტი - ბიზნეს სკოლა

#### გამოცდილება

- სამეთვალყურეო საბჭოს წევრი - შპს „აი ჯი დეველოფმენტ ჯორჯია“ (ს/კ 404851503) - 11/2021 - დღემდე
- ფინანსური დირექტორი შპს „აი ჯი დეველოფმენტ ჯორჯია“ (ს/კ 404851503) - 09/2015 - 2024 წლის 01 იანვარი
- დირექტორი - შპს „12 რაუნდი“ (ს/კ 405414948) - 01/10/2020 - 2022 წლის 13 ივლისი
- დირექტორი - შპს „გრინვილი“ (ს/კ 405176036) - 15/11/2016 - 06/05/2019
- ფინანსური ანალიტიკოსი - შპს „ვესტ ინვესტი“ (ს/ნ 202311104) - 02/2014 - 09/2015
- დირექტორის მოადგილე - შპს „ვესტ ინვესტი“ (ს/კ 202311104) - 09/2015 - 2024 წლის 1 იანვარი.
- დაზღვევის ანალიტიკოსი - სს „სამედიცინო დაზღვევის ჯგუფი არქიმედეს გლობალ ჯორჯია“ (ს/კ 204543869) - 04/2013 - 01/2014
- ანგარიშგების მენეჯერი - შპს „სადაზღვევო კომპანია აი სი ჯგუფი“ (ს/კ 204491344) - 12/2011 - 03/2012

❖ **გიორგი მიროტაძე** - ბანკს შემოუერთდა 2022 წლის აგვისტოში

დაკავებული პოზიცია

- სამეთვალყურეო საბჭოს უფროს დამოუკიდებელ წევრი;
- აუდიტის კომიტეტის წევრი;
- რისკების კომიტეტის თავმჯდომარე.

განათლება

- პენსილვანიის უნივერსიტეტი - ამერიკის საბანკო ასოციაციის საბანკო აკადემია სტონიერი (ფილადელფია, აშშ) - ივნისი 2010
- ჰოფსტრა უნივერსიტეტი - ბიზნესის ადმინისტრაციის მაგისტრი, საბანკო საქმე და ფინანსები ფრენკ ზარბის სახელობის ბიზნეს სკოლა (ნიუ იორკი, აშშ) - დეკემბერი 2001
- ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახ. უნივერსიტეტი, საერთაშორისო ბიზნესის ფაკულტეტი - საერთაშორისო ოპერაციების აღრიცხვა, აუდიტი და საბანკო საქმე - ივნისი 1997
- ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახ. უნივერსიტეტი - ფიზიკის ფაკულტეტი, მიკროპროცესორული სისტემები - ივლისი 1996

გამოცდილება

- განვითარების დირექტორი - შპს „სფერო ჰოლდინგი“ - 01/05/2023
- ფინანსური დირექტორი - სს „ფინკა ბანკი საქართველო“ - სექტემბერი 2007-მაისი 2019
- სამეთვალყურეო საბჭოს წევრი - მისო „ფინკა კოსოვო“ - იანვარი 2012-აპრილი 2019
- ფინანსური დირექტორი - სს „კასკად ბანკი საქართველო“ - იანვარი 2006-აგვისტო 2007
- რესურსების მართვისა და სტრატეგიული განვითარების დირექტორი - სს „ბანკი რესპუბლიკა“ - ივლისი 2003-სექტემბერი 2005
- პროექტის ხელმძღვანელი - CERMA - 01/07/2002-01/10/2002
- მოწვეული ლექტორი - კორპორატი ფინანსები, ფასიანი ქაღალდების ანალიზი - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი - 01/02/2020-01/02/2021
- მოწვეული ლექტორი - აუდიტი, ინვესტიციების პორტფელის მართვა - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი - 01/09/2002-01/09/2003

❖ **ნინო მეფარიშვილი** - ბანკს შემოუერთდა 2022 წლის აგვისტოში

დაკავებული პოზიცია

- სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელ წევრი;
- აუდიტის კომიტეტის თავმჯდომარე;
- რისკების კომიტეტის წევრი.

განათლება

- ფინანსების მაგისტრი (წარჩინებით) - ბიზნესი და ეკონომიკა - 2018 - ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტი
- პროფესიონალი ბუღალტერი ACCA პროგრამა - 2012 - ბაფ (GFPAA) სრული წევრი
- FMVA ფინანსური ანალიტიკოსის პროგრამა - 2022 - კორპ. ფინანსების ინსტიტუტი

გამოცდილება

- საფ-საბიუჯეტო კომ. აპარატის მოწვეული ექსპერტი - საქართველოს პარლამენტი - 06.2023 - 09.2023
- რეზოლუციის და ლიკვიდაციის განყოფილების უფროსი - საქართველოს ეროვნული ბანკი - 11.2020-05.2022
- სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრი, აუდიტის და რისკების კომიტეტის წევრი - ზირაათ ბანკი საქართველო - 06.2019-05.2020
- გენერალური დირექტორის მოადგილე, რისკების მართვის მიმართულებით - სს ჰალივ ბანკი საქართველო - 2015-2017
- რისკების მართვის დეპარტამენტის უფროსი - სს ჰალივ ბანკი საქართველო - 2011-2015
- ფინანსური ანგარიშგების უფროსი სპეციალისტი - სს ბანკი რესპუბლიკა - 05.2007-05.2009
- კორპორატიული კლიენტების მომსახურების დეპარტამენტის უფროსი ზედამხედველი - სს ბანკი რესპუბლიკა - 2004-2006

- ექსპერტი ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარების საკითხებში - GIZ (Deutsche Gesellschaft für Internationale Zusammenarbeit) საქართველოს ოფისი - 2022-დან დღემდე;
- ექსპერტი - GIZ(Deutsche Gesellschaft für Internationale Zusammenarbeit) საქართველოს ოფისი - 2020
- მოწვეული ლექტორი - პირადი ფინანსები, სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი - 2020-დღემდე
- ლექტორი - ფასს (IFRS), ბიზნესის და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი - 2019-დან დღემდე,
- ადგილობრივი კონსულტანტი - Ecorys NL (როტერდამში დაფუძნებული კვლევითი და საკონსულტაციო კომპანია) - 2018-2020

### **სამეთვალყურეო საბჭოს კომიტეტები**

ბანკში სამეთვალყურეო საბჭოს დონეზე, „კომერციული ბანკების კორპორაციული მართვის კოდექსის“ მოთხოვნების მიხედვით, შექმნილია აუდიტის კომიტეტი და რისკების მართვის კომიტეტი. აუდიტის და რისკების კომიტეტების შემადგენლობაში შემავალ პირთა უმრავლესობა, მათ შორის კი აუცილებლად ხოლო აუდიტის და რისკების კომიტეტის თავმჯდომარე, არის სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრი. აღნიშნული კომიტეტები, კორპორაციული მართვის კოდექსის შესაბამისად, გადაწყვეტილებებისა და რეკომენდაციების თაობაზე ანგარიშს რეგულარულად წარუდგენენ სამეთვალყურეო საბჭოს და ეროვნულ ბანკს, დადგენილი წესით. აუდიტის და რისკების კომიტეტების ფუნქციები და უფლება-მოვალეობები განისაზღვრება შესაბამისი დებულებებით, რომელიც მტკიცდება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ.

რისკისა და აუდიტის კომიტეტებს შორის არსებობს ეფექტური კომუნიკაცია და კოორდინაცია, რაც, მათ შორის, მოიცავს ინფორმაციის გაცვლას, ყველა სახის რისკის დაიდენტიფიცირებას, მათ შორის, ახლადგამოვლენილი რისკებისა და ასევე ნებისმიერი სახის საჭირო კორექტირებების შეტანას ბანკის რისკის მართვის ჩარჩოში.

### **აუდიტის კომიტეტი**

სამეთვალყურეო საბჭოსთან შექმნილი აუდიტის კომიტეტი სხვა ფუნქციებთან ერთად პასუხისმგებელია განსაზღვროს შიდა კონტროლის საკითხებთან მიმართებაში ბანკის მიდგომები და ფინანსური ანგარიშგების პოლიტიკა; მონიტორინგი გაუწიოს ფინანსური ანგარიშგების პროცესებს და დაამტკიცოს გამოსაქვეყნებელი ფინანსური ანგარიშგებები; მონიტორინგი გაუწიოს და აქტიურად ითანამშრომლოს ბანკის შიდა და გარე აუდიტორებთან; შეაფასოს გარე აუდიტორის ეფექტიანობა, გამოთქვას მოსაზრება გარე აუდიტორთა კანდიდატურებთან დაკავშირებით, წარუდგინოს შესაბამისი რეკომენდაციები სამეთვალყურეო საბჭოს ან აქციონერებს მათ კანდიდატურებთან, დანიშვნასთან, ანაზღაურებასთან ან გათავისუფლებასთან დაკავშირებით; განიხილოს და დაამტკიცოს ჩასატარებელი შიდა აუდიტის მასშტაბი და ჩატარების სიხშირე; მიიღოს შიდა აუდიტის ინდივიდუალური შემოწმების შედეგების ამსახველი ანგარიშები და საქმიანობის პერიოდული საანგარიშგებო ინფორმაცია და უზრუნველყოს დირექტორატის მხრიდან სათანადო ღონისძიებების დროულად გატარება აუდიტის პროცესში ან კონტროლის სხვა ფუნქციების მიერ იდენტიფიცირებული კონტროლის სისუსტეების, კანონმდებლობასთან შეუსაბამობის ან სხვა ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად; მონიტორინგი გაუწიოს ბანკის სააღრიცხვო პოლიტიკისა და პრაქტიკის ჩამოყალიბებას; უზრუნველყოს ფინანსური ანგარიშგების პოლიტიკის სამართლიანობა, სისრულე და შესაბამისი კანონმდებლობასთან და სტანდარტებთან შესაბამისობა; განიხილოს მესამე პირთა მოსაზრებები ბანკის რისკების მართვის მთლიანი ჩარჩოსა და შიდა კონტროლის სისტემების ეფექტურობისა და სტრუქტურის თაობაზე; უზრუნველყოს შიდა და გარე აუდიტორების ფუნქციების ადეკვატურობა, დამოუკიდებლობა და მათი ეფექტური ურთიერთთანამშრომლობა; განიხილოს გარე აუდიტორის მიერ მომზადებული სარეკომენდაციო წერილი და მონიტორინგი გაუწიოს დირექტორების მიერ არსებული ნაკლოვანებების გამოსწორების მიზნით შესაბამის ზომების გატარებას; აუდიტის კომიტეტი აფასებს ბანკის გარე აუდიტორების დამოუკიდებლობას და საჭიროების შემთხვევაში სამეთვალყურეო საბჭოსა და აქციონერთა კრებას აძლევს რეკომენდაციას აუდიტორული ფირმის შეცვლის თაობაზე.

აუდიტის კომიტეტი დაკომპლექტებულია კორპორაციული მართვის კოდექსის მოთხოვნების დაცვით. მისი სდომები ტარდება სულ მცირე კვარტალში ერთხელ, განსაკუთრებულ შემთხვევებში, შეხვედრის მოწვევა შესაძლებელია



## სს პეისერა ბანკი საქართველო

მმართველობის ანგარიშგება

2023 წელი

სამეთვალყურეო საბჭოს მოთხოვნის საფუძველზე. აუდიტის კომიტეტი იღებს გადაწყვეტილებებს ხმათა უბრალო უმრავლესობით. დამსწრე წევრებს უფლება არ აქვთ თავი შეიკავონ კენჭისყრაში მონაწილეობისგან. აუდიტის კომიტეტის კრებებს ხელმძღვანელობს თავმჯდომარე, რომლის შერჩევა ხდება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ. აუდიტის კომიტეტის წევრებს მუდმივად აქვთ სრული წვდომა დირექტორატის, შიდა აუდიტისა და რისკების მართვის ფუნქციებთან.

### რისკების კომიტეტი

სამეთვალყურეო საბჭოსთან შექმნილი რისკების კომიტეტის ფუნქციებში შედის როგორც აგრეგირებული, ისე ინდივიდუალური რისკის ჭრილში რისკის სტრატეგიების განხილვა და სამეთვალყურეო საბჭოსთვის რეკომენდაციების გაცემა, მათ შორის, ბანკის მიმდინარე და მომავალ რისკის აპეტიტზე; ბანკში არსებული რისკის კულტურის შესახებ ანგარიშგება და ბანკის რისკის პოლიტიკების განხილვა; დირექტორატის მიერ სათანადო პროცედურების დაცვით ბანკის საქმიანობის რისკის პოლიტიკებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მონიტორინგი; სამეთვალყურეო საბჭოსთვის რისკის სტრატეგიებისა და პოლიტიკების ეფექტურობის თაობაზე რეკომენდაციების გაცემა; კაპიტალისა და ლიკვიდობის მართვის სტრატეგიების მონიტორინგი, ასევე ყველა სახის რისკის, როგორცაა საკრედიტო, საბაზრო, საოპერაციო და რეპუტაციული რისკების მონიტორინგი რისკის აპეტიტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით; კლიენტებისთვის შეთავაზებული მატერიალური ფინანსური პროდუქტებისა და მომსახურებების მონიტორინგი, მათ შორის, მათი ფასების ორგანიზაციის ბიზნეს მოდელთან და რისკის სტრატეგიასთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით. მონიტორინგს უწევს პილარ 3-ის ანგარიშგების პროცესს, მათ შორის, ESG საკითხების ანგარიშგებას და ამტკიცებს გამოსაქვეყნებელი წლიური პილარ 3-ის ანგარიშგებას,

რისკების კომიტეტი პასუხისმგებელია, შეაფასოს შეთავაზებულ ფინანსურ პროდუქტებთან და მომსახურებებთან დაკავშირებული რისკები და გაითვალისწინოს ამ პროდუქტებისა და სერვისების ფასის შესაბამისობა მათგან მიღებულ მოგებასთან. ასევე პასუხისმგებელია შიდა და გარე აუდიტორის რეკომენდაციების შეფასებასა და შესაბამისი ზომების განხორციელების ზედამხედველობაზე აუდიტის კომიტეტთან თანამშრომლობით; რისკების კომიტეტი პასუხისმგებელია შესაბამისი რეკომენდაციები და მოსაზრებები წარუდგინოს საბჭოს ბანკის არსებულ და მომავალ რისკის აპეტიტთან დაკავშირებით. ამასთან, მინიმუმ წელიწადში ერთხელ, აწარმოოს შესაბამისი ანგარიშგება საბჭოსთან დაიდენტიფიცირებული მატერიალური რისკებისა და სხვა საკითხების, მათ შორის, რისკების მართვისა და შიდა კონტროლის სისტემების სტრუქტურის, ეფექტური ფუნქციონირების, უწყვეტობისა და ზოგადად, ბანკში არსებული რისკის კულტურის თაობაზე.

რისკების კომიტეტი მუდმივად თანამშრომლობს რისკების დირექტორთან, რათა უზრუნველყოფილი იყოს ბანკის რისკების მართვის სისტემის ეფექტურობა და პროპორციულობა ბანკის რისკების ბუნებასთან, მასშტაბებსა და კომპლექსურობასთან, აღნიშნულის უზრუნველყოფის მიზნით, რისკების კომიტეტი ყველა სხდომაზე იწვევს რისკების დირექტორს.

### დირექტორატი

ბანკის ყოველდღიური საქმიანობის მართვა და ადმინისტრირება ხორციელდება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დანიშნული დირექტორატის მიერ, რომლის შემადგენლობაშიც შედიან გენერალური დირექტორი და სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დანიშნული დირექტორები. დირექტორატი მნიშვნელოვან ფუნქცია აქვს ეფექტური კორპორაციული მართვის გატარებასა და შენარჩუნებაში, რაც გულისხმობს სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებული პოლიტიკების ეფექტიან შესრულებას. ბანკის დირექტორატი შედგება სამი წევრისგან, რომლებიც აკმაყოფილებენ ბანკის დირექტორისთვის საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. დირექტორატი გადაწყვეტილებას იღებს მისი შემადგენლობის ნახევარზე მეტით, მას ხელმძღვანელობს გენერალური დირექტორი.

დირექტორატი საკუთარი უფლებამოსილებების ფარგლებში, ბანკის წესდებით ან/და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ახორციელებს შემდეგ ფუნქცია-მოვალეობებს:

- წარმართავს და ახორციელებს ბანკის ყოველდღიურ საქმიანობას;

- ზანკის მომგებიანობისა და სტაბილური ფუნქციონირების უზრუნველყოფის მიზნით ახორციელებს ზანკის ხელმძღვანელობას;
- თავისი კომპეტენციის ფარგლებში, წინასწარ განიხილავს ზანკის აქციონერთა საერთო კრების ან სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის დღის წესრიგში შესატან საკითხს, ახდენს სათანადო ინფორმაციის სრულად მოძიებას, ამზადებს წინადადებებსა და რეკომენდაციებს დღის წესრიგის საკითხებთან მიმართებაში;
- ფისკალური წლის დასრულებიდან ერთი თვის ვადაში ამზადებს და სამეთვალყურეო საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს მიმდინარე წლის ბიზნეს გეგმას. ასეთი ბიზნეს გეგმა უნდა მოიცავდეს ბიუჯეტს, მოგება-ზარალის პროგნოზსა და ზანკის საინვესტიციო გეგმებს;
- წარმართავს ზანკის განვითარების სტრატეგიას, კოორდინაციას და ზედამხედველობას უწევს ბიზნეს მიმართულებების, საბანკო ქსელის, ინფორმაციული უსაფრთხოების, საბანკო ინფრასტრუქტურისა და სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების საქმიანობას;
- უზრუნველყოფს ზანკის მიერ კლიენტებისთვის სათანადო მომსახურების გაწევას და ზედამხედველობას უწევს ზანკის სხვა ძირითად საქმიანობას;
- სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებული ორგანიზაციული სტრუქტურის ფარგლებში ახორციელებს ახალი ქვესტრუქტურული ერთეულის შექმნას, მისი უფლება - მოვალეობების განსაზღვრას და მის გაუქმებას;
- უზრუნველყოფს და ზედამხედველობას უწევს ზანკის ფილიალებისა და სერვის-ცენტრების გახსნა-დახურვას და მათ ფუნქციონირებას, ასევე ფილიალების, სერვის-ცენტრების და სხვა სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელი პირების მიერ ფუნქციების შესრულებას;
- განიხილავს შიდა აუდიტისგან ან გარე შემოწმებით მიღებულ ინფორმაციას, ასევე ზანკის სტრუქტურული ქვედანაყოფების, ფილიალებისა და სერვის-ცენტრების ხელმძღვანელების მიერ მიწოდებულ ანგარიშებს და იღებს შესაბამის გადაწყვეტილებებს ზემოთ ჩამოთვლილ ინფორმაციაზე დაყრდნობით;
- უზრუნველყოფს აქციონერთა საერთო კრებისა და სამეთვალყურეო საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესრულებას;
- საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, შეიმუშავებს შესაბამისი დოკუმენტების პროექტებს, რომლებიც ექვემდებარება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებას, უზრუნველყოფს სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებული პოლიტიკებისა და დოკუმენტების შესრულებას და რეკომენდაციებს აძლევს სამეთვალყურეო საბჭოს აღნიშნულ დოკუმენტებში განსახორციელებელ ცვლილებებთან დაკავშირებით;
- შეიმუშავებს, ამტკიცებს ზანკის სტრუქტურული ქვედანაყოფების დებულებებს, შრომის შინაგანაწესს;
- ამტკიცებს ბიზნეს პროცესებს, საკრედიტო და საოპერაციო საქმიანობის მარეგულირებელ ან/და ზანკის ყოველდღიურ მართვასთან დაკავშირებულ პროცედურებს, ზანკის პროდუქტების ან/და მომსახურებების პირობებს, ინსტრუქციებს, სახელმძღვანელოებს;
- იღებს გადაწყვეტილებას სხვადასხვა გაერთიანებებში, ასოციაციებში (მათ შორის არასამეწარმეო/არაკომერციული იურიდიულ პირები) ზანკის გაწევრიანების ან/და აღნიშნული გაერთიანების წევრობაზე უარის თქმის შესახებ;
- იღებს გადაწყვეტილებას ზანკში დასაქმების პირობების შესახებ, რაც მოიცავს თანამშრომელთა წახალისების ნებისმიერ გეგმას და თანამშრომელთა დასაქმების ახალ პირობებსა და წახალისების ახალი გეგმების შესახებ გადაწყვეტილების მიღებას ან მათ დანერგვას, თუ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით ან/და საზედამხედველო რეგულაციებით აღნიშნული არ მიეკუთვნება სამეთვალყურეო საბჭოს ან სამეთვალყურეო საბჭოს კომიტეტის უფლებამოსილებას;
- გადაწყვეტილებას იღებს იმ საკითხზე, რომელსაც სამეთვალყურეო საბჭო და/ან აქციონერთა საერთო კრება დაავალბებს დირექტორატს;
- იცავს წინამდებარე წესდებითა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

**ინფორმაცია დირექტორატის წევრთა პროფესიული გამოცდილების შესახებ**

❖ **დიმიტრი ქუმსიშვილი**

დაკავებული პოზიცია - გენერალური დირექტორი

განათლება

- ბიზნეს ადმინისტრირების მაგისტრი - ბიზნეს ადმინისტრირების მაგისტრის პროგრამა - სერმა მენეჯმენტის სკოლა - 2005-2007
- აღრიცხვა, კონტროლი, აუდიტი - ეკონომიკის ფაკულტეტი - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი - 1992-1998

გამოცდილება

- სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე - სს „გრინ დაზღვევა საქართველო“ (ს/კ 404990435) 02/2020-10/2022
- საქართველოს პირველი ვიცე პრემიერ მინისტრი/ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო - 11/2017-06/2018
- საქართველოს ფინანსთა მინისტრი / საქართველოს პირველი ვიცე პრემიერ მინისტრი - საქართველოს ფინანსთა სამინისტრო - 11/2016-11/2017
- საქართველოს ვიცე პრემიერ მინისტრი - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო - 09/2015 - 11/2016
- თბილისის ვიცე- მერი - თბილისის მერია - 03/2015-08/2015
- ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის პირველი მოადგილე / სსიპ "სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს" თავმჯდომარე - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო - 11/2012-03/2015
- დირექტორი/ თანადამფუძნებელი - დაწყებითი ბიზნესის და ინოვაციების საინვესტიციო ფონდი (ს/კ 404933113) - 02/2012-11/2012
- სამეთვალყურეო საბჭოს წევრი - სს "თბილისის ბანკთაშორისი სავალუტო ბირჟა" (ს/კ 203824406) – 2000-2011
- გენერალური დირექტორის პირველი მოადგილე - სს "ზანკი ქართუ" (ს/კ 204891652) - 12/1999-10/2011
- სახაზინო დეპარტამენტის მმართველი - სს "ზანკი ქართუ" (ს/კ 204891652) - 06/1997-12/1999

❖ **თამარ მეტივიშვილი**

დაკავებული პოზიცია - ფინანსური დირექტორი

განათლება

- ბიზნესისა და მართვის მაგისტრის დიპლომი - ზოგადი მენეჯმენტი - 28 სექტემბერი 2010 წელი -თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი, საქართველო
- ბიზნესის მართვის ბაკალავრის დიპლომი - ბიზნესის მართვა - 20 ივნისი 2002 წელი - მართვის ევროპული სკოლა ESM, თბილისი, საქართველო
- სერთიფიცირებულ ბუღალტერთა ასოციაციის წევრობის კანდიდატი - აღრიცხვა და რეპორტირება - დაწყების თარიღი 1 ივნისი 2005 წელი
- Association of Certified Chartered Accountants (ACCA), დიდი ბრიტანეთი

გამოცდილება

- დირექტორი - შპს რედმედი (ს/ნ 405341465) – 04.2021-02.2023
- ასოცირებული პარტნიორი - შპს მოორ ეიბისი (ს/ნ 206331691) – 01.2020-12.2021
- ფინანსური დირექტორის მოადგილე - სს „თიბისი ბანკი“ – 03.2017-08.2019
- ფინანსური რეპორტირების დეპარტამენტის უფროსი - სს „თიბისი ბანკი“ – 01.2016-02.2017
- IFRS ანგარიშგების განყოფილების უფროსი - სს „თიბისი ბანკი“ – 05.2011-12.2015
- ფინანსური აღრიცხვისა და ანგარიშგების განყოფილების უფროსის მოადგილე - სს „თიბისი ბანკი“ - 11.2008-04.2011
- ფინანსური დირექტორი - სს გალტ ენდ თაგარტ სიქიურტიზ (საიდენტიფიკაციო ნომერი 211359206) – 08.2007-10.2008

## სს პეისერა ბანკი საქართველო

მმართველობის ანგარიშგება

2023 წელი

- აუდიტის მენეჯერი - შპს ფრასი ვუოთერ ჰაუს კუპერს ცენტრალური აზია და კავკასია ბი.ვი-ს საქართველოს ფილიალი ს/ნ 204482577) – 08.2025-07.2007
- კონსულტანტი - შპს Ernst & Young Audit (ს/ნ 204441158) – 12.2002-07.2005

### ❖ ტატინა გორგაძე

დაკავებული პოზიცია - რისკების დირექტორი

განათლება

- ბიზნესისა და მართვის მაგისტრის დიპლომი (with distinction) - ზოგადი მენეჯმენტი - 2012 – 2015 წწ - გერნობლის ბიზნესის სამაგისტრო სკოლა, საფრანგეთი

გამოცდილება:

- 2021-2023, UPSWOT, Inc Wilmington, Delaware DE, USA, Product owner
- 2017-2021, CC Continental City Capital LTD, Nicosia, Cyprus, რისკების მართვის დირექტორი
- 2022-2023, შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კონტინენტალ სითი კრედიტი“, სამეთვალყურეო საბჭოს წევრი
- შპს „სისი ლოუნ“ (ს/ნ 405060213), შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კონტინენტალ სითი კრედიტი“ (ს/ნ 404932891) რისკის მენეჯერი
- 2017-2017 შპს „ინფინიტი ჰოლდინგი“ (ს/ნ 404407619) რისკის მენეჯერი
- 2011-2016 ბანკი რესპუბლიკა ჯგუფი “Société Générale”, საცალო საკრედიტო რესკების შეფასების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე
- 2007-2011 ბანკი რესპუბლიკა ჯგუფი “Société Générale”, პორტფელის მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსი
- 2006-2006 BTA სილქ როუდ ბანკი, კორპორატიული ურთიერთობის ოფიცერი

### დირექტორთა საბჭოს კომიტეტი

#### აქტივებისა და პასივების მართვის კომიტეტი

ბანკის აქტივებისა და პასივების ეფექტური მართვის, საზედამხედველო და პრუდენციული ნორმატივებისა და მოთხოვნების დაცვით საბანკო ოპერაციების შემოსავლიანობის მაქსიმიზაციის მიზნით დირექტორთა საბჭოსთან ფუნქციონირებს აქტივებისა და პასივების მართვის კომიტეტი. აქტივებისა და პასივების მართვის კომიტეტი ჩართულია საბაზრო რისკის, ლიკვიდობის რისკის, საპროცენტო განაკვეთის რისკის მართვასა და ზედამხედველობაში. აქტივებისა და პასივების მართვის კომიტეტი აწესებს და ზედამხედველობას უწევს შიდა და გარე ლიკვიდობის მაჩვენებლებს, გეგმავს საპროგნოზო ფულად ნაკადებს, აწესებს ლიმიტებს საპროცენტო რისკების, სავალუტო რისკების, საბაზრო რისკების მართვისათვის. კომიტეტის თავმჯდომარეა გენერალური დირექტორი, ხოლო წევრები დირექტორთა საბჭოს წევრები და ფინანსების, ხაზინის, ორგანიზაციული რისკების მართვის ერთეულების ხელმძღვანელი პირები. აქტივებისა და ვალდებულებების მართვის კომიტეტის შეხვედრები ტარდება ყოველთვიურად ან ნებისმიერ დროს, როდესაც საჭიროდ ჩაითვლება.

### 3. ინფორმაცია ბანკის ფილიალებთან დაკავშირებით

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკს არ ჰქონდა ფილიალები.

#### 4. ორგანიზაციის მომავალი განვითარების გეგმები

ბანკის სამიზნე სემენტს წარმოადგენს კორპორაციული, მიკრო, მცირე, საშუალო და საცალო სექტორი.

ბანკი თავის მომხმარებლებს სთავაზობთ ინოვაციურ საბანკო პროდუქტებს, როგორცაა:

- ევროპული IBAN - მომხმარებლისთვის როგორც ქართულ IBAN ფორმატის ანგარიშის, ასევე ევროპულ IBAN ანგარიშების გახსნა, რომლებიც მომხმარებლის მიერ იმართება ერთ სივრცეში დისტანციურად, მობილური აპლიკაციის ან ინტერნეტ ბანკის მეშვეობით.
- SEPA გადარიცხვები - მომხმარებლისთვის ერთიანი ევრო გადახდების სივრცეში (SEPA და SEPA Instant) ანგარიშსწორების შესაძლებლობის მინიჭება. აღნიშნული გადახდების სივრცის ხელმისაწვდომობა ამარტივებს ევროპის ეკონომიკურ სივრცესთან სავაჭრო ურთიერთობების წარმოებას, ხოლო საქართველოს მოქალაქეებისთვის - გამარტივებულ, სწრაფი და იაფი მომსახურებით სარგებლობის შესაძლებლობას იძლევა.
- API ინტეგრაციის დაფუძნებული სერვისები - ბანკი იურიდიულ პირებს სთავაზობს მარტივად ინტეგრირებად API ფუნქციონალებს - მონაცემთა გაცვლისა და მართვის, დროის რეალურ რეჟიმში გადახდების მიღების და QR კოდით გადახდების მიღების პროგრამულ გადაწყვეტილებებს.

ბანკის სტრატეგიული მიზნები მოიცავს ისეთი პროდუქტების შეთავაზებას მომხმარებლებისთვის, როგორცაა:

- სხვადასხვა სასესხო პროდუქტები, როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირებისთვის, რომლებიც ფოკუსირებული იქნება ჯანსაღი, დივერსიფიცირებული საკრედიტო პორტფელის შექმნასა და მის სტაბილურ ზრდაზე.
- ელექტრონული კომერციით მოსარგებლე ბიზნესებს ბანკი შესთავაზებს გადახდების მიღების მარტივ გზებს, რომელიც დაფუძნებული იქნება საერთაშორისო პრაქტიკაზე და მომხმარებელს შეუმცირებს დანახარჯს.
- საგადახდო ბარათების ემისია და მომსახურება.

ბანკის მისიაა უზრუნველყოს ინოვაციური და საიმედო ფინანსური მომსახურება, გახადოს ხელმისაწვდომი ევროპული სტანდარტების შესაბამისი, მოსახერხებელი და უსაფრთხო საბანკო პროდუქტები და სერვისები ფიზიკური და იურიდიული პირებისთვის. ასევე, საქმიანობისას დაიცავს და გაითვალისწინოს ESG პრინციპები, გარემოსდაცვითი და სოციალური ფაქტორების სათანადოდ გათვალისწინებითა და გარემოსდაცვითი და სოციალური თვალსაზრისით გამართლებული და მდგრადი განვითარებით.

#### 5. კვლევისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებები

2023 და 2022 წელს ბანკს არ ჰქონია კვლევასთან დაკავშირებული ხარჯები.

#### 6. საკუთარი აქციების გამოსყიდვა

ბანკს, 2023 და 2022 წლის განმავლობაში არ გამოუსყიდია საკუთარი აქციები და აღნიშნული არც მიმდინარე ეტაპზე იგეგმება.

#### 7. რისკების მართვა

რისკების მართვა საბანკო ოპერაციების ქვაკუთხეა. ჩვენი ბანკის რისკების მართვის პოლიტიკა შემუშავებულია რისკების ზედმიწევნით იდენტიფიცირების, ანალიზის, მართვისა და მონიტორინგისთვის. აღნიშნული მოიცავს რისკის შესაბამისი ლიმიტების დაწესებას და ამ ზღვრების შესანარჩუნებლად თანმიმდევრული ზედამხედველობის უზრუნველყოფას.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მოკლევადიან პერსპექტივაში ბანკი გეგმავს ზომიერ ზრდას, რაც თავის მხრივ შექმნის საჭიროებას კიდევ უფრო გაძლიერდეს რისკების მართვის ფუნქცია, შეიქმნას და გადაიხედოს არსებული მიდგომები და პრაქტიკები, შემუშავდეს და დაინერგოს რისკების მართვის ხელშემწყობი ახალი ინსტრუმენტები, შეირჩეს და დაკოპლექტდეს რისკების მართვის მიმართულება პროფესიონალი კადრებით.

საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში, რისკის მართვის პრაქტიკის ზემოთ აღნიშნული გაუმჯობესებები ბანკს

## სს პეისერა ბანკი საქართველო

მმართველობის ანგარიშგება

2023 წელი

საშუალებას მისცემს მოემზადოს უფრო აგრესიული ზრდისკენ და ამავდროულად უზრუნველყოს რისკების დროული და ეფექტური მართვა. ბანკის რისკების მართვის ჩარჩო შექმნილია იმისათვის, რომ ხელი შეუწყოს დაინტერესებულ მხარეთა ნდობის მოპოვებას სისტემატური, თანმიმდევრული და გამჭვირვალე პროცესების მეშვეობით, რაც ხელს შეუწყობს ბანკის სტრატეგიული მიზნების მიღწევასა და სტაბილურ ზრდას. ეს ჩარჩო აგრეთვე წარმოაჩენს რისკების მართვას ბანკისთვის როგორც კონკურენტულ უპირატესობას, რომელიც წამოადგენს ბანკის სტრატეგიული გეგმის განხორციელების დამხმარე ინსტრუმენტს.

სტრუქტურულად, რისკის მართვის მიმართულება ანგარიშვალდებულია გენერალურ დირექტორთან, თუმცა მუშაობის პროცესში გააჩნია საკმარისი ავტონომია იმისათვის, რომ შეინარჩუნოს დამოუკიდებლობა და ზედამხედველობა ბანკის სტრატეგიული მიზნების წარმატებით მიღწევის უზრუნველსაყოფად.

ბანკის მიერ იდენტიფიცირებულია და იმართება შემდეგი რისკები :

- საოპერაციო რისკი - გულისხმობს ზარალის რისკს, რომელიც ბანკმა შესაძლებელია მიიღოს არაადეკვატური ან გაუმართავი შიდა პროცესებით, სისტემების ჩავარდნით/უმოქმედობით, ადამიანური შეცდომების, თაღლითობის ან სხვა გარე ზემოქმედების გამო მათ შორის როგორცაა კიბერ შეტევების რისკი და სხვა.

- ლიკვიდობის რისკი - წარმოიქმნება აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობის შეუსაბამობებიდან. ამ შეუსაბამობის გამო დეპოზიტის გამოტანისას და ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული სხვა ფინანსური ვალდებულებების შესრულებისას შესაძლოა წარმოშვას საკმარისი ფინანსური რესურსების უკმარისობის რისკი.

- საბაზრო რისკი - წარმოიქმნება ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულების ან ფულადი ნაკადების მერყეობისაგან საბაზრო ფასების ზეგავლენით. საბაზრო რისკი შედგება სავალუტო რისკისაგან, საპროცენტო განაკვეთების რისკისაგან და სხვა საფასო რისკებისაგან. საბაზრო რისკი წარმოიქმნება ფინანსური ინსტრუმენტის ღია პოზიციისაგან, რომელიც დაკავშირებულია საერთო და სპეციფიურ ცვლილებებთან ბაზარზე, საბაზრო ფასების და სავალუტო კურსის მერყეობის დონის ცვლილებებთან.

- სავალუტო რისკი - ბანკი აცნობიერებს სავალუტო კურსის ცვლილებით გამოწვეული აქტივების და ვალდებულების გადაფასებით მიღებული დანაკარგის რისკს. ბანკის სტრატეგია სავალუტო რისკთან მიმართებაში არის რომ არ ჩაერთოს სპეკულაციურ საქმიანობაში ღია სავალუტო პოზიციის მეშვეობით.

- საპროცენტო რისკი - ბანკის წინაშე დგას ტრადიციული საბანკოს საქმიანობით გამოწვეული საპროცენტო რისკი რაც დაკავშირებულია აქტივების და ვალდებულებების შესაძლო შეუთავსებლობით გადაფასების მიხედვით.

- შესაბამისობის რისკი - წარმოადგენს რისკს, რომ ბანკი არ/ვერ იმოქმედებს მოქმედი რეგულაციების, კანონების და ხელშეკრულებების შესაბამისად და ამის შედეგად შესაძლოა მიიღოს ფინანსური ზარალი.

- მაკროეკონომიკური რისკი - წარმოადგენს რისკს, რომ ქვეყნის, რეგიონის ან გლობალურ დონეზე განვითარებულმა უარყოფითმა მოვლენებმა (მაგალითად, მშპ-ს შემცირება, უმუშევრობის ზრდა ა.შ.) შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს ბანკის ფინანსურ მაჩვენებლებზე.

ბანკის მასშტაბით, სამეთვალყურეო საბჭო წარმოადგენს სტრუქტურას, რომელსაც ეკისრება საერთო პასუხისმგებლობა რისკების მართვის ჩარჩოსა და თანმდევ პროცესებზე, ძირითადი რისკების მეთვალყურეობაზე, რისკების მართვის პოლიტიკებსა და პროცედურებზე. აღნიშნული მიმართულების მონიტორინგი ხორციელდება რეგულარულად, კვარტალური შეხვედრების ფარგლებში, სადაც ხდება რისკების მართვის მიმართულებით არსებული ძირითადი პროცესებისა და სახელმძღვანელო დოკუმენტების ცვლილებების განხილვა და ინიცირება, აგრეთვე რისკების მაჩვენებლების წარდგენა. სამეთვალყურეო საბჭო ეყრდნობა და იყენებს შიდა აუდიტის პროცესს რისკების მართვის ჩარჩოს და შესაბამისი პოლიტიკების და პროცედურების შესრულების ზედამხედველობისათვის.

დირექტორთა საბჭო პასუხისმგებელია ბანკის მასშტაბით საერთო რისკების კულტურის დანერგვაზე, რისკის მიტიგაციის ღონისძიებების მონიტორინგსა და იმის უზრუნველყოფაზე, რომ ბანკი მოქმედებს დადგენილი რისკების პარამეტრების ფარგლებში. დირექტორთა საბჭო წარუდგენს სამეთვალყურეო საბჭოს, ან მისი უფლებამოსილების ფარგლებში, ამტკიცებს რისკების მართვასთან დაკავშირებულ პოლიტიკებს და პროცედურებს. დირექტორთა საბჭო პასუხისმგებელია რისკების სტრატეგიის ბანკის საერთო სტრატეგიასთან შესაბამისობის მოყვანაში. დირექტორთა საბჭო მეთვალყურეობას უწევს რისკებთან დაკავშირებულ საკითხებს სხვადასხვა რეპორტების და კომიტეტების მეშვეობით, სადაც ხდება მიღწეული მაჩვენებლების და რისკებთან დაკავშირებული საკითხების განხილვა.

რისკების დირექტორი პასუხისმგებელია რისკების მართვაზე, უზრუნველყოფს როგორც ფინანსური, ასევე არაფინანსური რისკების იდენტიფიცირებას, გაზომვას, მართვისა და ანგარიშგების საერთო მეთოდების შემუშავებას და დანერგვას. ის ექვემდებარება პირდაპირ გენერალურ დირექტორს.

**8. ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები**

**ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (ათას ლარში)**

**აქტივები**

	31.12.2023	31.12.2022
ფული და ფულის ეკვივალენტები	9,556	6,444
ფულის ნაშთი საქართველოს ეროვნულ ბანკში	66	-
სხვა აქტივები	28	10
არამატერიალური აქტივები	200	202
აქტივების გამოყენების უფლება	196	303
ძირითადი საშუალებები	241	260

**სულ აქტივები**

**10,287**                      **7,219**

**ვალდებულებები**

ვალდებულებები კლიენტების მიმართ	1,263	-
საიჯარო ვალდებულებები	185	287
გადავადებული საგადასახადო ვალდებულება	5	41
სხვა ფინანსური ვალდებულებები	766	-
სხვა ვალდებულებები	98	26

**სულ ვალდებულებები**

**2,317**                      **354**

**კაპიტალი**

ჩვეულებრივი აქციები	3,700	3,250
დაგროვილი ზარალი	(1,745)	(386)
დამატებითი შენატანი კაპიტალში	6,015	4,001

**სულ კაპიტალი**

**7,970**                      **6,865**

**სულ ვალდებულებები და კაპიტალი**

**10,287**                      **7,219**

**სრული შემოსავლის ანგარიშგება (ათას ლარში)**

	2023	2022*
საპროცენტო შემოსავალი	237	98
საპროცენტო ხარჯი	(9)	(4)
<b>წმინდა საპროცენტო შემოსავალი</b>	<b>228</b>	<b>94</b>

საკომისიო შემოსავალი, წმინდა	10	-
შედეგი სავალუტო ოპერაციებიდან	74	(13)
საკურსო სხვაობიდან მიღებული ზარალი, წმინდა	(56)	(329)
სხვა შემოსავალი	-	56
<b>არასაპროცენტო შემოსავალი</b>	<b>28</b>	<b>(286)</b>

თანამშრომელთა სარგებელი	(1,052)	(123)
ცვეთა და ამორტიზაცია	(183)	(25)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(452)	(254)
<b>საოპერაციო ზარალი</b>	<b>(1,431)</b>	<b>(594)</b>

მოგების გადასახადის შემოსავალი/(ხარჯი)	36	(41)
<b>მთლიანი სრული ზარალი</b>	<b>(1,395)</b>	<b>(635)</b>

**კაპიტალის მაჩვენებლები**

ბანკის კაპიტალის მართვის ძირითადი მიზანია, რომ ბანკს მუდმივად ჰქონდეს საკმარისი ოდენობის და ხარისხის კაპიტალი, რათა ყველაზე ცუდ შემთხვევაშიც შეძლოს სხვადასხვა რისკის შედეგად გამოწვეული (პოტენციური) დანაკარგების დაფარვა და შესაბამისობაში იყოს რეგულატორის მიერ დაწესებული კაპიტალის მართვის მოთხოვნებთან.

კაპიტალის მინიმალური მოთხოვნები	2023		2022	
	თანხა	კოეფიციენტი	თანხა	კოეფიციენტი
<b>პილარ 1-ის მოთხოვნები</b>				
ძირითადი პირველადი კაპიტალის მინიმალური მოთხოვნა	202,425	4.50%	138,844	4.50%
პირველადი კაპიტალის მინიმალური მოთხოვნა	269,901	6.00%	185,126	6.00%
საზედამხედველო კაპიტალის მინიმალური მოთხოვნა	359,867	8.00%	246,834	8.00%
<b>კომბინირებული ბუფერი</b>	<b>123,705</b>	<b>2.75%</b>	<b>77,136</b>	<b>2.50%</b>
კაპიტალის კონსერვაციის ბუფერი	112,459	2.50%	77,136	2.50%
კონტრციკლური ბუფერი	11,246	0.25%	0	0.00%
სისტემური რისკის ბუფერი	0	0.00%	0	0.00%
<b>პილარ 2-ის მოთხოვნები</b>				
ძირითადი პირველადი კაპიტალი	0	0.00%	0	0.00%
პირველადი კაპიტალი	0	0.00%	0	0.00%
საზედამხედველო კაპიტალი	0	0.00%	0	0.00%
<b>ჯამური მოთხოვნები</b>				
ძირითადი პირველადი კაპიტალი	326,130	7.25%	215,980	7.00%
პირველადი კაპიტალი	393,605	8.75%	262,261	8.50%
საზედამხედველო კაპიტალი	483,572	10.75%	323,970	10.50%

საზედამხედველო კაპიტალი წლის ბოლო მდგომარეობით	თანხა	კოეფიციენტი	თანხა	კოეფიციენტი
ძირითადი პირველადი კაპიტალი	1,754,934	39.01%	2,678,303	86.80%
პირველადი კაპიტალი	7,769,584	172.72%	6,678,841	216.46%
საზედამხედველო კაპიტალი	7,769,584	172.72%	6,678,841	216.46%

**9. არაფინანსური მაჩვენებლები**

ბანკის არაფინანსური მაჩვენებლები წინამდებარე დოკუმენტში არ არის წარმოდგენილი, რადგან აღნიშნული მაჩვენებლების წარმოდგენა არ იძლევა დამატებით სასარგებლო ინფორმაციას ბანკის საქმიანობისა და მდგომარეობის გასაგებად.



**10. დამატებითი განმარტებები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ**

ბანკის ხელმძღვანელობის შეფასებით ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი თანხები არ საჭიროებს დამატებით განმარტებებს. აღნიშნული ინფორმაცია განმარტებულია ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებში.

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2024 წლის 8 მაისს შემდეგი პირების მიერ:

გენერალური დირექტორი

\_\_\_\_\_

დიმიტრი ქუმსიშვილი

ფინანსური დირექტორი

\_\_\_\_\_

თამარ მეტივიშვილი


**10. დამატებითი განმარტებები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ**

ბანკის ხელმძღვანელობის შეფასებით ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი თანხები არ საჭიროებს დამატებით განმარტებებს. აღნიშნული ინფორმაცია განმარტებულია ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებში.

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2024 წლის 8 მაისს შემდეგი პირების მიერ:

გენერალური დირექტორი

ფინანსური დირექტორი



დიმიტრი ქუმსიშვილი

თამარ მეტივიშვილი